ს ა რ ბ ი ე ლ ი

სპორტული გაზეთი პარასკევი 25 ივლისი 2008 №170 (3394) ფასი 50 თეთრი

# ელის ერი: კუპერი?



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა და ფიფას აგენტი აკა ტონია მოულოდნელად მადრიდში ექტორ რაულ კუპერთან მოსალაპარაკებლად რომ გაემგზავრნენ და არგენტინელს თითქმის ყველაფერზე შეუთანხმდნენ, გუშინდელ „სარბიელში" ვწერდით. უგულავა და ტონია, რომლის მეშვეობითაც დაუკავშირდნენ ჩვენები კუპერს, თბილისში ჯერაც არ ჩამოსულან და მათთან შეხმიანება ვერც ამჯერად მოვახერხეთ, თუმცა გუშინდელ ინფორმაციას ახლა ის ცნობაც შეგვიძლია დავამატოთ, რომელიც ჩვენმა ესპანელმა კოლეგამ მოგვაწოდა: ექტორ რაულ კუპერი ძალიან სერიოზულად არის დაინტერესებული საქართველოს ნაკრებში მუშაობით და, შესაძლოა, ამ დღეებში ის თბილისშიც ჩამოვიდეს. საქართველოს ნაკრების მწვრთნელად კუპერის შესაძლო დანიშვნასთან დაკავშირებული მეორე საინტერესო ამბავი კი აქვე, თბილისში გავიგეთ: ფეხბურთის ფედერაციის 28 ივლისის აღმასკომზე, სადაც უნდა გადაწყდეს კიდეც ეროვნული გუნდის მომავალი მწვრთნელის საკითხი, გერმანელ ფოლკერ ფინკესთან და ხორვატ პეტარ სერგტთან ერთად, შესაძლოა, კუპერის კანდიდატურაც განიხილონ. ვნახოთ, გასარკვევი მალე უნდა გაირკვეს, დღეს პარასკევია, მერე უქმეები და ორშაბათს საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელის ვინაობაც გამოცხადდება...

**კობა ინასარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩი

# გლახად მოხვდათ ვლახებს

## ზაურ სვანაძის მშვენიერი დებიუტი



გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

თბილისი. 24 ივლისი. ამერი. 18 საათი. 600 მაყურებელი

### საქართველო 2:0 რუმინეთი

| | |
|---|---|
| 1:0 ხუციძე (43), 2:0 ხოკერაშვილი (53) | |
| საქართველო: მაკარიძე, გეთიაშვილი, კაკუბავა (სარაჯიშვილი 46), ტეტუნაშვილი, სალარიძე, ხუციძე (ბუკია 85), თარხნიშვილი, შონია (საცერაძე 82), იჩქითი (კვეკვესკირი 46), როსტიაშვილი (ნემსაძე 75), ფილია (ხოკერაშვილი 46) სათადარიგო: ლოსაბერიძე მწვრთნელი: ზაურ სვანაძე | რუმინეთი: ფარკაში, ხავინი, მუტი, რაპა (მირონი 46), კუკუ (ბარბულევისკუ 36), პოპესკუ, ალექსე (იონესკუ 87), მანუ, ალიბეკი (სანჩუ 85), მატეი (როსუ 56), სტეფონი სათადარიგონი: ხორვატი; ჩიოკალტუ მწვრთნელი: ანდრეი ვასაი |
| გაფრთხილება: შონია (55), როსტიაშვილი (57), ალექსე (77) | |
| მსაჯები: მ. მაისურაძე; ე. ნარმანია, თ. მამისაშვილი; ხ. მაისურაძე | |

ილია ნანობაშვილი

**ასეთი** თამაშის მერე, მოდი და, თქვი, ქართულ ფეხბურთს მომავალი არ აქვსო. ზაურ სვანაძის გაწვრთნილმა 19-წლამდელებმა ვილაც ჯიბუტის და სან მარინოს კი არა, საფეხბურთო ქვეყნის თანატოლებს, გეორგე ჰაჯისა და ადრიან მუტუს ქვეყნის შვილებს ჩაუტარეს გაკვეთილი.

რუმინეთისთვის ადრეც მოუგიათ ქართველებს ამ ასაკში, მაგრამ გავიდა დრო, ვლახების იმ თაობიდან ბევრმა ითამაშა დიდი ფეხბურთი, ჩვენებმა კი — ვერა. ეს უკვე ზრდის პროცესის პრობლემაა და აშკარად სხვაგან გადავუხვიეთ, გლობალური საკითხებისკენ. ამიტომ, ჯერ გლდანის სტადიონზე მიღებული სიამოვნებით დავტკბეთ.

ორივე გუნდმა ისეთი ტრუს-მაისურებით ითამაშა, რომელი ფერიც არც ერთი ქვეყნის დროშაზე არაა — ჩვენები ლურჯებით იყვნენ, რუმინელები კი თეთრებით.

თავიდანვე ვთქვათ, რომ ერთი პერიოდი, ეროვნული ნაკრების ძირითად მეკარე გიორგი მაკარიძეს მხოლოდ ერთხელ მოუხდა რეაქციის გამოვლენა: მე-20 წუთზე დენის ალიბეკის შორიდან გასროლილი კურთხურზე მოიგერია. ვლახთა გოლკიპერ ბოგდან ფარკაშს კი საქმე არ გამოლევია, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, როცა ქართველები თითქმის ნება-ნება თამაშობდნენ, ალაზნის ველივით გაშლოდათ სივრცე და მეტი სიზუსტე და იღბალი რომ ჰქონოდათ, სტუმრები სამარცხვინო ანგარიშით წააგებდნენ.

ქართველებმა პირველი საგოლე მომენტი 30-ე წუთზე შექმნეს, როცა ერეკლე ფილიას გარღვევას მიხეილ როსტიაშვილმა ეფექტური, მაგრამ არაზუსტი დარტყმა მიაყოლა. მეორე ხიფათი კი გოლით დამთავრდა: ტაიმის მიწურულს „ამერის" ნახევარმცველმა ირაკლი ხუციძემ მარცხნიდან ჩაწოდებულზე კატალინ სავინს დაასწრო და 7-8 მეტრიდან ფეხით გაუტანა რუმინელებს.

სვანაძემ შესვენებაზე სამი ფეხბურთელი შეცვალა და მალე მეორე გოლიც გამოდნა, რომელიც სწორედ შემცვლელებმა გამოძერწეს. გიორგი სარაჯიშვილის პასმა მიხეილ ხოკერაშვილი ფარკაშთან პირისპირ დატოვა. რუმინელთა მეკარე თავიდან ბურთზე დასწრებას აპირებდა, მაგრამ მიხვდა, რომ უგვიანდებოდა, ადგილზე დადგა, ხოკერაშვილმაც მოატყუა და ცარიელ კარში გაიტანა — 2:0.

ეს იყო და, რუმინელები მთლად დაიბნენ, მათმა ნახევარმცველმა მარიუშ ალექსემ საპირველტაიმო გარღვევები დაივიწყა და შარი დაიწყო, ლამის ყველა ორთაბრძოლისას იდაყვებს და წიხლებს იქნევდა, მაგრამ საბოლოოდ თვითონ დატოვა მინდორი ტრავმიანმა.

ბოლო 20-25 წუთში სვანაძის შეგირდების სოლო ვნახეთ, ხუციძემ ინდივიდუალურ გარღვევას მიაყოლა ოდნავ უზუსტო დარტყმა, მერე ხოკერაშვილმაც მიბაძა... ხოკერაშვილი კიდევ ერთხელ დარჩა პირისპირ ფარკაშთან, მაგრამ მეკარემ არც პირველ ჯერზე გაატანინა და არც დამატებაზე.

ჩვენები უკვე ყველა კომპონენტში ჩაგრავდნენ რუმინელებს, თემურ შონია, ხოკერაშვილი, როსტიაშვილი და ხუციძე გამოირჩეოდნენ, მათ ვაჟა ნემსაძეც აჰყვა და ჯერ ხომ მოხდენილი პასით შონია ფარკაშთან დატოვა, მერე შორიდან დააქუხა და ძელი შეაზანზარა.

ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რუმინელები მსაჯის საფინალო სასტვენს მოუთმენლად ელოდნენ. ჭაბუკი ვლახების უნიათობას კინალამ სიგიჟემდე მიჰყავდა მათი მწვრთნელი ანდრეი ვასაი, რომელიც ლამის ყველა დაკარგულ ბურთზე ოხრავდა და ხმამაღლა კიცხავდა ფეხბურთელებს.

ვასაი ნაკლებად გვაინტერესებს. მთავარია, სვანაძეს მშვენიერი დებიუტი გამოუვიდა 19-წლამდელებში — მართლაც სასიამოვნო იყო ჩვენების თამაშის ყურება.

ჰო, ისიც დავამატოთ, რომ მალხაზ მაისურაძემ გუშინდელი მატჩით სამსაჯო კარიერა დაასრულა.



გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

მიხეილ ხოკერაშვილის გოლი



გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

„ვერი გუდ ტალენტს" — ამბობდა გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი პეტარ სეგრტი ჩვენს 19-წლამდელებზე, რომლებმაც რუმინელები დაამარცხეს. მოგებული თამაშის შემდეგ ულვაშა ხორვატი მწვრთნელის ემოციები ერთი სანახაობაა, სათითაოდ გადაეხვია ფეხბურთელებს, მათაც და სამწვრთნელო შტაბსაც მადლობა გადაუხადა, მერე კი ჩვენთან სასაუბროდ მოიცალა...

# არ გვაქვს გაზი, არ გვაქვს ნავთობი, მაგრამ გვაქვს ნიჭი

## პეტარ სეგრტი უკვე ეროვნულის მწვრთნელია

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოვიგეთ, ვულოცავ ამ წარმატებას მწვრთნელებს და ფეხბურთელებს. საქართველო სავსეა ნიჭიერი ფეხბურთელებით, რაც დღესაც დამტკიცდა. ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან ძალიან სწორი გადაწყვეტილება იყო 19-წლამდელთა ნაკრებში ზაურ სვანაძის დანიშვნა.

...მშვენივრად ითამაშა კაპიტანმა თორნიკე თარხნიშვილმა, მომეწონა როსტიაშვილი, ხუციძე, შონია... არ მინდა ვინმე გამოვრჩე... ნემსაძე ბრწყინვალედ ჩაერთო თამაშში, მას ყველაფერი აქვს საიმისოდ, რათა დიდი ფეხბურთი ითამაშოს.

— პირველად არ ხდება, როცა ახალგაზრდული ასაკის საქართველოს ნაკრები ძლიერ მეტოქეებს უგებს, მაგრამ გადის დრო და მეტოქის ფეხბურთელები წინ მიდიან, ქართველები კი ზრდას წყვეტენ. საკმაო ხანია, საქართველოში ხართ და რა არის ამ პრობლემის მთავარი მიზეზი?

— გასაგებია, რასაც ამბობთ. ვიცი, რომ ასე ხდებოდა საქართველოში, მაგრამ ამიერიდან ასე აღარ იქნება — ამის იმედი მაქვს. ჩვენ გადავედით გუნდურ მუშაობაზე. ქართველები გამოირჩევიან ინდივიდუალობით, გუნდური თამაში კი ჯერაც სასწავლი გვაქვს. რაც ფედერაციის ტექნიკურ დირექტორად დავინიშნე, ყველა ასაკობრივ ნაკრებს დიდ ყურადღებას ვაქცევ, ჩვენ ერთად ვიგებთ და ერთად ვაგებთ. კარგია, რომ 16, 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებს ქართველი მწვრთნელები უდგანან სათავეში. მერწმუნეთ, ის პრობლემა, რაც თქვით, აღარ იქნება, თუ ერთად ვიმუშავებთ და გუნდურად ვიმოქმედებთ.

...ქართულ ფეხბურთს თავისი გამორჩეული სტილი აქვს. მე ეროვნულ ნაკრებში რუსული თუ გერმანული სტილის კოპირებას არ მოვახდენ, რადგან როცა სხვას ბაძავ, შენი ძლიერი მხარეები იჩრდილება. ევროპის ჩემპიონატს რომ ვესწრებოდი, ყველა მეკითხებოდა, საქართველო მდიდარი ქვეყანააო? მე ვპასუხობდი, რომ ჩვენ გაზით და ნავთობით არ ვცხოვრობთ, მაგრამ გვაქვს ფეხბურთის ნიჭი, რომელსაც ვერავინ წაგვართმევს. ამ ნიჭს გზის მიცემა სჭირდება.

— ისე ლაპარაკობთ, როგორც ეროვნული ნაკრების მწვრთნელი...

— ამ წუთისთვის მე ვაკეთებ იმას, რაც მევალება და ჩემთვის მისალებია. თუ ეროვნული ნაკრების მწვრთნელობას მანდობენ, დიდი პატივი იქნება ჩემთვის. ეს ფედერაციის გადასაწყვეტია.

— ალბათ გული დაგწყდებათ, რომ არ განდონ მწვრთნელობა...

— დიახ. იმედგაცრუებული ვიქნები, მაგრამ მთავარია, ქართული ფეხბურთი იყოს კარგად.

— სხვათა შორის, ახალგაზრდა თაობის თითქმის ყველა ფეხბურთელი თქვენ გიჭერთ მხარს...

— დიდი მადლობა და იცოდნენ, რომ მეც მათ ვუჭერ მხარს! ჩვენ გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების ბრწყინვალე სინთეზი შეგვიძლია, წარმოიდგინეთ, კალაძე, ხიზანიშვილი, ასათიანი, კობიაშვილი და სხვები, მათ გარშემო კი უნიჭიერესი ახალგაზრდები. მე არ მოვერიდები 17 წლის ფეხბურთელის ეროვნულ გუნდში დაყენებას, ოღონდ კი ის იმსახურებდეს ამას. საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ დიდი ნიჭით დაჯილდოებული.

— თქვენც პატარა ქვეყნიდან ხართ, რომლის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე მშვენიერი თამაში აჩვენა და საერთო აზრით, უფრო შორს წასვლას იმსახურებდა...

— ძალიან მეწყინა თურქეთთან წაგება, ხორვატიას მართლაც ბრწყინვალე ნაკრები ჰყავდა, მაგრამ რაღაც კონცენტრაცია არ ეყო ბოლომდე. ჩემი ოცნებაა, საქართველოც გავიდეს დიდ ტურნირებზე და ხალხმა გაიხაროს.

ილია ნანობაშვილი

# იქნებ კუპერმა აღმოაჩინოს...



ლატვიური „ვენტსპილსის“ ქართველი ლეგიონერი ზურაბ მენთეშაშვილი ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ თანდათან შედის ფორმაში.

ჩვენებური უხვგოლიანობით არასდროს გამოირჩეოდა, თუმც მოედანზე ყოველთვის სარგებლიანი იყო. ასე მოხდა ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე უელსურ „ლანელთან“ მატჩშიც (4:0); ზურა ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. მეოთხე გოლი კი სულაც მისი დამსახურებაა — ფლანგზე მცველს ძალისმიერ ჭიდილში აართვა ბურთი და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა თანაგუნდელს დაუგორა, რომელმაც უკვე ცარიელ კარში გაიტანა. მენთეშაშვილს გუშინ ლატვიაში შევეხმიანეთ...

— პირველი ეტაპი იოლად დაძლიეთ...

— მეტოქეს თავიდან კი ჰქონდა მომენტები, მაგრამ მალე ორი ბურთი გავიტანეთ, დავწყნარდით და უპირატესობის გაზრდაც უფრო გაგვიადვილდა.

— გატანა შენც შეგეძლო, მაგრამ რიმკუსისთვის პასის მიცემა ამჯობინე...

— ასე ჯობდა. მან ცარიელ კარში უპრობლემოდ გაიტანა, მე კი შეიძლება გამეფუჭებინა. ჩემთვის საკუთარი გოლი პრიორიტეტი არ არის, მთავარია, გუნდმა გაიტანოს.

— მანამდე მცველისთვის ძალისმიერ ორთაბრძოლაში აგირთმევია ბურთი, როგორც ჩანს, უკვე ჯანზე მოხვედი...

— ღმერთის წყალობით, კარგ ფორმაში ვარ. 90 წუთს უკვე სრული დატვირთვით ვთამაშობ.

— მეორე ეტაპზე ნორვეგიულ „ბრანს“ ხვდებით, შენ პირველი თამაშის გამოტოვება მოგიწევს...

— სამწუხაროდ, „ლანელთან“ ორივე მატჩში ყვითელი ბარათი მივიღე და ამის გამო ვისჯები.

— ნორვეგიული ბარიერის გადალახვის შანსი გაქვთ?

— რა გუნდია, არ ვიცი... ვნახოთ, რა და როგორ იქნება. მთავარია, პირველ მატჩში გოლი არ გავუშვათ, მეორეში კი მეც და რიმკუსიც დავეხმარებით გუნდს.

— როგორც ნაკრების ფეხბურთელს, გკითხავ: ფინკე, პეკერმანი, კუპერი — ამ სამეულიდან სანაკრებოდ რომელი უფრო მისაღებ მწვრთნელად მიგაჩნია?

— ფინკე „ფრაიბურგიდან“ ვიცი. ნორმალური შედეგები ჰქონდა, კარგი მწვრთნელია. ასევე პეკერმანიც, მაგრამ თუ სახელით ვიმსჯელებთ, კუპერი უფრო მისაღები მწვრთნელი მგონია, თანაც არგენტინელია, სამხრეთელი, რაც უფრო ახლო არის ჩვენთან.

— ჰო, მაგრამ კუპერი უფრო დაცვითი ფეხბურთის მოყვარულია და ჩვენ გვყავს იმ დონის ფეხბურთელები, რომ ასეთ თამაშს ალლო აუღონ?

— საქართველოს ფეხბურთელები ყოველთვის ჰყავდა, მხოლოდ რაღაც გვაკლია და იქნება კუპერმა სწორედ ეს რაღაც აღმოაჩინოს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბეგლარიშვილის ერთწლიანი ჰოლანდია

**გუშინ** საქართველოს და რუმინეთის 19-წლამდელთა ნაკრებების მატჩისას ტრიბუნაზე შევნიშნეთ ახალგაზრდა ნახევარმცველი ზაქარია ბეგლარიშვილი.

ამ ფეხბურთელმა ამსტერდამის „აიაქსთან“ 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ჰოლანდიიდან ვიზას ელოდა.

„რამდენიმე დღეა, ერთწლიანი ვიზა მივიღე. 3 აგვისტოს იქ უნდა ვიყო. ძალიან მინდა, ჩემი კარიერა ჰოლანდიაში კარგად აეწყოს და ამისთვის თავს არ დავზოგავ“ — გვითხრა ბეგლარიშვილმა.

**ნუკრი ლოლაძე**

# სიონმა ჩიხურაც მოიგერია

**გუშინ** გრიგოლეთში ტესტ-მატჩი გამართა ბოლნისის „სიონმა“. მეტოქე საჩხერის „ჩიხურა“ იყო და უმაღლესლიგელმა 6:0 იმარჯვეს.

ბოლნისელებმა თითო ტაიმში სამი ბურთი გაიტანეს. იმერელთა რბევა მე-10 წუთზე შოთა ჯიქიამ დაიწყო. 23-ე წუთზე ახალწვეულმა გივი დიდავამ იხეირა, ხუთ წუთში კი ჯიქიამ დუბლი შეასრულა.

მეორე ნახევარში მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ თერთმეტეული შეცვალა, თემაც ამით „ჩიხურას“ რა ხეირი? 65-ე და 74-ე წუთებზე ირაკლი შენგელია გამოირჩა, მატჩის მიწურულს კი ჯიქიძემაც შეაგდო.

გუნდების შემადგენლობები ასეთი იყო:

*სიონი: ბობღიაშვილი, კაკაშვილი, ხილაგაძე, სვანიძე, ქემოკლიძე, ხუბუა, დიდავა, კოშკაძე, ქურასბედიანი, ს. დავითაშვილი, შ. ჯიქია.*

*მეორე ტაიმი: გურგენიძე, გ. ოქროპირიძე, ნაყოფია, ზ. ჭელიძე, ბ. ნოზაძე, ა. ალავიძე, ლ. ბაჯელიძე, ჩივაძე, სანიკიძე, ი. შენგელია, ჯიქიძე.*

*ჩიხურა: დოლაძე, ზივზივაძე, ბარაბაძე, ხვედელიძე, ტყებუჩავა, ზ. ნოზაძე, ი. ზაბახიძე, დოლონაძე, პეტრიაშვილი, როგავა, მ. მიქაძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ბეგაშვილი, ცარციძე, ენუქიძე, ჩიკვაიძე, ჭილაძე, ივანიშვილი.*

კორღალიძემ ნამატჩევს ეს გვითხრა: „გუნდი თავისი ნებით დატოვა მეკარე ზურაბ მამალაძემ, მან გვთხოვა, ხელი არ შეგვეშალა. რამდენიმე გუნდის ვარიანტი ჰქონია და ჩვენც არ დავაყოვნეთ. ხვალ კი შემოგვიერთდება კიდევ ერთი ყოფილი ამერელი მეკარე ზურაბ ქვაჩახია და, ფაქტობრივად, ამით დავასრულებთ გუნდის დაკომპლექტებას. 26 ივლისს რუსთავის „ოლიმპს“, 28-ში კი ლანჩხუთის „გურიას“ გავეჯიბრებით და შეკრებასაც ამით დავასრულებთ. იყო საუბარი იმის თაობაზე, რომ 1 აგვისტოს თასის მატჩი „ნორჩი დინამოსთან“ თბილისში გვეთამაშა, მაგრამ საბოლოოდ ბოლნისი გადავწყვიტეთ.“

**ნუკრი ლოლაძე**

# სპარტაკმა გონიო აირჩია

**გუშინ** ცხინვალის „სპარტაკი“ ზღვისპირეთში წავიდა შეკრებაზე.

გუნდი გონიოში დაბინავდა და საქართველოს თასის მატჩამდე იქ დარჩება.

შეგახსენებთ, ცხინვალელები 1 აგვისტოს გორში ოზურგეთის „მერცხალს“ შეხვდებიან.

ამას წინათ „სარბიელში“ ვწერდით, რომ „სპარტაკის“ მეკარე ბესიკ კოდალაევი რუსულ „სიბირშია“ გასინჯვაზე. მის შემცვლელად კი გიგა იაშვილი მივიდა, რომელიც ბოლოს ბოლნისის „სიონში“ ირიცხებოდა. ცოტა ხნის წინ იაშვილი თბილისის „ლოკომოტივთან“ ერთად იყო, თუმც, როგორც ვხედავთ, ახლა „სპარტაკშია“.

გუნდში კიდევ ორი ახალწვეულია — კობა შალამბერიძე „ამერიდან“ და გოგა ნადირაშვილი ახალციხის „მესხეთიდან“.

მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილის თქმით, ამ დღეებში ტესტ-მატჩს აუცილებლად გამართავენ, თუმცა ჯერ მეტოქე შერჩეული არ ჰყავთ.

**ნუკრი ლოლაძე**



# ფიფია ერთ თვეში გათავისუფლდება

შავი კატა, რომელმაც „ზესტაფონსა“ და გოგი ფიფიას შორის გაირბინა, ჯერაც არ დაღლილა. სამაგიეროდ, ლოდინით თავად ფეხბურთელი დაიღალა და მოუთმენლად ელის 25 აგვისტოს, როდესაც კლუბთან საკონტრაქტო ვადა დაუმთავრდება...

— ინდივიდუალურად ვემზადები — გვითხრა გუშინ ფიფიამ — სხვა გუნდთან ვარჯიშის უფლებაც არ მაქვს. ლოდინით დავიღალე. კონტრაქტი 25 აგვისტოს მიმთავრდება და მერე იქნებ საშველი დამადგეს.

— გავიგეთ, ირანში აპირებ წასვლას...

— არის ირანის ვარიანტიც, უკრაინიდანაც მივიღე შემოთავაზებები, თუმცა რა იქნება, ჯერ ვერ გეტყვით.

— უფრო საით მიგიწევს გული?

— სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტოს იხურება, 5 დღეში უნდა მოგვარდეს ყველაფერი. რომელი ვარიანტიც მოესწრება, იქით წავალ, არ მინდა, კიდევ რამდენიმე თვე უფეხბურთოდ ვიყო. ბურთი მომენატრა...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დელასი ქეცბაიასთან
## უეფამ ქინქლაძეც ახსენა



**თემურ ქეცბაიამ** და მისმა „ანორთოსისმა“ საინტერესო ტრანსფერი განახორციელეს: ევრო-2004-ის ჩემპიონი, მაშინდელი საბერძნეთის ნაკრების საუკეთესო მცველი ტრაიანოს დელასი გადაიბირეს.

დელასს ცოტა ხანს „რომაშიც“ უთამაშია, ბოლოს კი ათენის აეკში გახლდათ.

„დელასი ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი შენაძენია „ანორთოსისის“ ისტორიაში, თუმც ამ გუნდში სხვა ცნობილ ფეხბურთელებსაც უთამაშიათ: გიორგი ქინქლაძეს, სინიშა გოგიჩს და რა თქმა უნდა, თავად ქეცბაიას“ — წერს უეფას ოფიციალური ვებგვერდი.

**ილია ნანოშაშვილი**

# თარგამაძე თბილისშია

**გერმანული** „ფრაიბურგის“ ქართველი ნახევარმცველი დავით თარგამაძე თბილისშია და სავიზო საკითხებს აგვარებს.

თარგამაძე 28 ივლისს უნდა ჩავიდეს გერმანიაში და მეორე დღიდან დაიწყებს მთავარ გუნდში ვარჯიშს.

შეგახსენებთ, რომ თარგამაძემ „ფრაიბურგთან“ 2-წლიანი პროფესიული კონტრაქტი გააფორმა...

**ბაჩა შალამბერიძე**

გაყიდვაშია საქართველოს ეროვნული ნაკრების 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ხუთი საშინაო მატჩის აბონემენტები.

დამზადებულია სამი სახის აბონემენტი — 150-ლარიანი (დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-9 სექტორი) დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-11 სექტორი) და 25-ლარიანი (ჩრდილოეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-13 სექტორი).

25 და 50-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს საჩუქრად გადაცემათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლოგოთი დამშვენებული შარფები, ხოლო 150-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით — 50 ლარად, შეუძლიათ, შეიძინონ საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისური.

აბონემენტების შეძენა შეგიძლიათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში.

# შეხედეთ რუსეთის მილიონებს
## ზენიტი გაზპრომის გარეშეც 20 მილიონიანია

**საინტერესო** ციფრებს... უკაცრავად, მრავალნულიან რიცხვებს წავაწყდით ერთ-ერთ რუსულ ვებგვერდზე, სადაც იქაური პრემიერლიგის კლუბების ბიუჯეტებია მოცემული და პლუს, მინიშნებულია მათი ინვესტორები.

რა თქმა უნდა, ეს რიცხვები ოფიციალური არ არის და რეალური ბიუჯეტი კლუბების კომპეტენტურმა მუშაკებმა იციან.

და რადგან არაოფიციალური ბიუჯეტია წარმოდგენილი, უნდა ვივარაუდოთ (და ამას ვარაუდი არც უნდა, რადგან სიმართლეა), რომ კლუბების ხაზინაში უფრო დიდი ფულია, ვიდრე ვებგვერდზე წერია.

ქართულ კლუბებთან პარალელის გავლება სასაცილოა. ან როგორ, როცა, მაგალითად, 100-მილიონდოლარიანი ბიუჯეტის მქონე სანკტ პეტერბურგის „ზენიტი" თანხის 20 პროცენტს თავისით გამოიმუშავებს: ტელეტრანსლაციები — 12 პროცენტი, ბილეთები და კომერციული საქმიანობა — 3-3 პროცენტი, ატრიბუტიკის გაყიდვა — 2 პროცენტი. „დანარჩენი" 80 პროცენტით კი „ზენიტს", გეცოდინებათ, სახელგანთქმული „გაზპრომი" ამარაგებს.




ახლა გვითხარით, საქართველოში რამდენი გულშემატკივარი გინახავთ, თბილისის „დინამოს" მაისურა რომ ეცვას? ან „ზესტაფონის", „ვიტ ჯორჯიის", „ამერის"...

და ვისაც აცვია, არ გეგონოთ, მათ უმეტესობას ნაყიდი ჰქონდეს ეს მაისურა. უფრო მეტად საჩუქრად იღებენ ან ფეხბურთელებისგან, ან კლუბის სხვადასხვა წარმომადგენლებისგან.

ბილეთები? საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე ბილეთის ყიდვის კულტურა ჯერ სადაა...

„მადლობა თქვან, ამ თამაშის საყურებლად რომ მოვდივარ, ფული აქეთ უნდა მომცენო" — რამდენჯერაც გინდათ, იმდენჯერ გამიგია ეს სიტყვები, როცა დარაჯი ცოტა სიმკაცრეს გამოიჩენს-ხოლმე.

ახლახან ერთმა კარგმა კაცმა ამ ბიუჯეტების ნუსხას გადახედა და ხუმრობით თქვა, საქართველოში ზოგიერთი კლუბის პრეზიდენტს 16 მილიონი დოლარი რომ დაანახო, დათვლის დროს შეიძლება გული გაუსკდესო. აქ ხომ ძალიან ბევრ კლუბს ბიუჯეტი მინუსებში აქვს...

ჰო, რუსული პრემიერლიგის 16 კლუბიდან ყველაზე ღარიბი სწორედ 16-მილიონდოლარიანი ნალჩიკის „სპარტაკია".

მოკლედ, სიას შემოგთავაზებთ:

1. „ზენიტი" (100 მილიონი, „გაზპრომი");
2. „რუბინი" (80 მილიონი, „ტატენერგო");
3. „სპარტაკი" (70 მილიონი, „ლუკოილი", „ნეაპიტალი");
4. „ლოკომოტივი" (70 მილიონი, რუსეთის რკინიგზა);
5. ცსკა (70 მილიონი, „ვი თი ბი ბანკი");
6. „დინამო" (61 მილიონი, „მეტალოინვესტი");
7. „სატურნი" (60 მილიონი, მოსკოვის ოლქის ადმინისტრაცია);
8. „მოსკვა" (50 მილიონი, მიხაილ პროხოროვის სტრუქტურები);
9. „კრილია სოვეტოვი" (48 მილიონი, რუსული ტექნოლოგიები);
10. „ლუჩ-ენერგია" (35 მილიონი, „დალსვიაზი");
11. „ტერეკი" (35 მილიონი, ჩეჩნეთის რესპუბლიკის ადმინისტრაცია);
12. „შინიკი" (28 მილიონი, იაროსლავლის ოლქის ადმინისტრაცია);
13. „ტომი" (25 მილიონი, ტომის ოლქის ადმინისტრაცია);
14. „ხიმკი" (20 მილიონი, ხიმკის მუნიციპალური ბიუჯეტი);
15. „ამკარი" (18 მილიონი, მინერალური ბრუნვა);
16. „ნალჩიკი" (16 მილიონი, ყაბარდო-ბალკარეთის რესპუბლიკა).

**ილია ნანობაშვილი**

# შაშიაშვილი და კანდელაკი ავსტრიაში ლიდერობენ

**ავსტრიის** ჩემპიონატი კარგად დაიწყო „შტურმმა" — ჯერ „რაპიდს" 3:1 მოუგო, მეორე მატჩში კი „მატერსბურგს" 3:0 სძლია და იქაური ჩემპიონატის პოტენციური ლიდერია.

„მატერსბურგის" განადგურებაში წვლილი ქართველებს, გიორგი შაშიაშვილსა და ილია კანდელაკსაც მიუძღვით — ორივე მათგანი სრულად გაისარჯა. „შაში" დაცვის მარჯვენა ფლანგზე იდგა, კანდელაკი კი — ცენტრში.

როგორ დაიცვეს კარი ჩვენებურებმა, ანგარიშიდანაც ნათლად ჩანს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლოკომოტივი უქართველებოდ



**ზედიზედ** მეორე მატჩია, მოსკოვის „ლოკომოტივი" ქართველების გარეშე თამაშობს.

რუსეთის პრემიერლიგის გამოტოვებულ მატჩში „ლოკომოტივი" სანკტ პეტერბურგში ეწვია ჩემპიონ „ზენიტს" და 1:1 ეთამაშა.

მალხაზ ასათიანი თადარიგში იყო, დავით მუჯირი კი განაცხადშიც არ ყოფილა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სანამ პოკორა ორს ამზობდა, სამი გახდა

**საქართველოში** შეკრებაგავლილი ზაქათალის „სიმურგის" უკრაინელმა მწვრთნელმა რომან პოკორამ აზერბაიჯანში ჩასვლისთანავე იქაურ გაზეთს ინტერვიუ მისცა, რომელშიც ქართველ ფეხბურთელებზეც ისაუბრა...

„საქართველოში ყოფნისას, რამდენიმე ფეხბურთელი გავსინჯეთ, თუმცა კონტრაქტები ჯერ მხოლოდ დავით ბოლქვაძესა და მიხეილ მახვილაძეს გავუფორმეთ, რომელიც რუსთავის „ოლიმპში" თამაშობდა. ბოლქვაძე ჩვენთან გასულ სეზონშიც იყო და გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელია, ამიტომ მასთან კონტრაქტის გაგრძელება გადავწყვიტეთ" — განაცხადა პოკორამ.

შეგახსენებთ, რომ „სიმურგში" შარშან ჩაირიცხა კახა ჩხეტიანი, ახლახან კი ამ გუნდში „ამერის" ნახევარმცველი გრიგოლ დოლიძეც გადავიდა...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



## საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია. ფეხბურთის განვითარების პროგრამა. კითხვარი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ერთობლივად მუშაობენ ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე. ჩვენი სურვილია, დაინტერესებულმა პირებმა მაქსიმალურად აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში. გამოთქვან საკუთარი აზრი და მსურველებმა წარმოადგინონ პროგრამის საკუთარი ვარიანტი.

ამასთან დაკავშირებით, გთავაზობთ კითხვარს. წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პროგრამისა და შენიშვნების ავტორს მოეთხოვება ახსნა:

1. რა არის მისი პროგრამის შექმნის მიზეზი და რა აუცილებელი პირობების შექმნაა საჭირო პროგრამის უზრუნველსაყოფად.
2. პროფესიულ საქმიანობაში რა კონკრეტული პრობლემა აწუხებს ყველაზე მეტად და რომელი მათგანის გადაჭრაა აუცილებელი.
3. კონკრეტულად რა არ აკმაყოფილებდა მოქმედ პროცესში. რა სურს შეცვალოს და როგორ?
4. პროგრამაზე მუშაობისას კონკრეტულად რა ახალი შედეგები იქნა მიღებული. რა მიზანი აქვს და რა შედეგს მოგვცემს მისი რეალიზაცია?
5. ფეხბურთის განვითარების მოცემულ ეტაპზე რომელ კონკრეტულ ამოცანას წყვეტს პროგრამა?
6. რომელი არატრადიციული ხერხები გამოიყენება პროგრამაში და როგორ?
7. რა კრიტერიუმით ხდება ფეხბურთელის განვითარების შეფასება? როგორია შეფასების ეს სისტემა?
8. რაში მდგომარეობს სიახლის თავისებურება და ორიგინალობა? რით განსხვავდება ის ძველისგან?
9. რომელ თეორიულ დებულებასა და სამეცნიერო-კვლევით შედეგებს ეყრდნობა საავტორო პროგრამა?
10. მიუთითეთ გამოყენებული ლიტერატურა.

გთხოვთ, თქვენი იდეები მოგვაწოდოთ ფეხბურთის ფედერაციაში ან გამოგვიგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე GFF@GFF.GE 2008 წლის 1 სექტემბრამდე.

# ბერბატოვის ბედს ეტოო წყვეტს



**ბულგარელი** თავდამსხმელით, დიმიტარ ბერბატოვით „მანჩესტერ იუნაიტედი" რომ არის დაინტერესებული, არახალია. სერ ალექს ფერგიუსონს 27 წლის ექსლევერკუზენელის თავის გუნდში ხილვა ძალიან სურს და „წითელი ეშმაკუნები" ცდილობენ კიდეც ხელში მის ჩაგდებას. ისინი მზად არიან, ბერბატოვში 20 მილიონი გირვანქა გადაიხადონ. თუმცა ლონდონის „ტოტენჰემს" ეს თანხა არ აკმაყოფილებს და არც ის უნდა, თავისი ფორვარდი „ოლდ ტრეფორდზე" გაუშვას.

„დეზები" ბერბატოვში 30 მილიონ გირვანქას ითხოვენ. „სანის" ცნობით კი, დედაქალაქელები მზად არიან, 5 მილიონი დაკარგონ და ბულგარელი „მილანს" ან „ბარსელონას" დაუთმონ, ოღონდ „მანჩესტერს" არ მიჰყიდონ.

ცოტა ხნის წინ „ტოტენჰემმა" ინგლისური ფეხბურთის მამებთან დაიჩივლა კიდეც, „მანჩესტერი" არაკანონიერად ცდილობს ტრანსფერის გაჩარხვას და ფეხბურთელზე ზეწოლას ახდენსო. ფერგიუსონმა კი „დეზებს" თვალთმაქცები უწოდა, ჯერ თანხის დასახელებას გვთხოვენ და მერე ისტერიკებს აწყობენო.

ბერბატოვით „მილანის" მწვრთნელი კარლო ანჩელოტი და „ბარსას" თავკაცი ხოსეპ გვარდიოლაც დაინტერესებულნი არიან, მაგრამ მნიშვნელოვანწილად, ყველაფერი სამუელ ეტოოზეა დამოკიდებული...

და რა შუაშია ეტოო? „ბარსელონამ" ჯერაც არ იცის, დატოვებს თუ არა კამერუნელი „კამპ ნოუს". თუ წავა, კატალონელები, ცხადია, ერთ-ერთ კანდიდატად ბერბატოვსაც განიხილავენ.

„მილანი" კი ჯერ ეტოოზეა კონცენტრიერებული და თუ მისი შეძენის საშუალება მიეცა, სხვა ვარიანტს, ალბათ, არც განიხილავს. თუ არა და, „როსონერიც" სიამოვნებით იფიქრებს ბერბატოვზე.

**გიორგი ქაქაბაძე**

# მაურინიუ ხმაურიანად დაიწყო



**აბა, ისე** როგორ იქნებოდა, ჟოზე მაურინიუს „ინტერში" მუშაობა ხმაურიანად რომ არ დაეწყო?! პორტუგალიელმა სპეციალისტმა „ინტერის" ოთხშაბათის ვარჯიში დახურა და ფანები Riscone di Brunico-ზე არ გააჭაჭანა.

ბევრი ქომაგი შორიდანაც იყო ჩამოსული თავისი საყვარელი მოთამაშეების სანახავად და გულშემატკივრების დიდი ნაწილი ისეთი იმედგაცრუებული დარჩა, რომ „განსაკუთრებულს" ობსტრუქცია მოუწყვეს და პროტესტი გამოხატეს.

მაურინიუ იძულებული გახდა მოგვიანებით ოფიციალური განცხადება გაეკეთებინა, ეგებ ფანები ცოტა მაინც დამშვიდნენო. პორტუგალიელმა ვარჯიშის ახურვის მიზეზად სხვა კლუბების სკაუტები დაასახელა...

„ფანებს ძალიან, ძალიან დიდ პატივს ვცემ. თუმცა კარგად ვიცოდით, რომ „ნერაძურის" უამრავი ქომაგის გარდა, რომლებიც ჩვენს მხარდასაჭერად მოვიდნენ, ბევრი სკაუტიც იყო სხვადასხვა კლუბიდან, რომლებიც მომავალ სეზონში ჩვენი მეტოქეები იქნებიან. პირველად ვსინჯავდით ტაქტიკურ სქემებს და ამიტომ გადავწყვიტე ვარჯიში დამეხურა. ამის სხვა მიზეზი არ არსებობს და მინდა, გულშემატკივრებმა ეს იცოდნენ" — ნათქვამია „ინტერის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ მაურინიუს კომენტარში.

გაგრძელება აუცილებლად იქნება, პორტუგალიელისგან ახალ-ახალ სიურპრიზებს დიდი ხანია, მიჩვეულნი ვართ და ამასთან შეგუება ნელ-ნელა მილანელთა ფანებსაც მოუწევთ.

**კოკი კანდელაკი**

# უოლკოტის დრო მოვიდა



**„არსენალის"** მწვრთნელ არსენ ვენგერს მიაჩნია, რომ ამ სეზონში თეო უოლკოტი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად უნდა იქცეს.

წინა სეზონში ბიჭმა ქომაგები გაახარა, რამდენჯერმე საუცხოოდ ითამაშა და ეტყობა, რომ მომატება კიდევ შეუძლია, ამიტომაც ფიქრობს ვენგერი უოლკოტის დაწინაურებაზე.

ფრანგმა მწვრთნელმა ჯერ ზუსტად არ იცის, რომელ პოზიციაზე გაამწესებს უოლკოტს — ფლანგზე თუ ფორვარდად, მაგრამ სადაც უნდა იყოს, ფეხბურთელი სასარგებლო იქნება.

„მან გასულ სეზონში წინ ნაბიჯი გადაგა და პროგრესს გააგრძელებს — თქვა ვენგერმა „ბარნეტთან" საკონტროლო შეხვედრის შემდეგ — შარშან მინდოდა, რომ 15-20 მატჩი ეთამაშა, წლეულს კი ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების დრო მოვიდა. არ ვიცი, რომელ პოზიციაზე დავაყენებ. მგონია, რომ ფლანგზე უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, ვიდრე ფორვარდად. კიდევ რამდენიმე მატჩი გვექნება პრემიერლიგის დაწყებამდე და რამეს მოვიფიქრებ.

უოლკოტი პასის მოთამაშე არაა, უფრო სპრინტერია და ამიტომ მას სათანადო პარტნიორი სჭირდება, რომელიც დაეხმარება. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვინ ითამაშებს მის გვერდით. საჭიროა სწორი კომბინაციის მოძებნა. თეოსგან ბევრს ველი. 19 წლის ასაკში ფეხბურთელი უკვე უნდა ჩამოყალიბდეს".

**ვაჟა ხუციშვილი**

# იები მუტუს ამუხრუჭებენ

**იტალიურმა** „რომამ" ადრიან მუტუს შეძენა რომ ისურვა და „ფიორენტინას" ოფიციალური წინადადებით მიმართა, უკვე გაუწყეთ. გავრცელდა ცნობა, თითქოს თავად ფეხბურთელსაც „გლადიატორთა" რიგებში სურს გადაბარგება. აპენინურმა ჟურნალ-გაზეთებმა ტრანსფერი ფაქტობრივად შემდგარად გამოაცხადეს, მაგრამ „იებმა" ყველას ცივი შხაპი გადაასხეს — რუმინელის გაიდვას არ ვაპირებთო.

„წინადადება მივიღეთ, მაგრამ „ფიორენტინას" პრეზიდენტ ანდრეა დელა ვალეს სურს გაცნობოთ, რომ მუტუ არის და რჩება „ფიორენტინას" ფეხბურთელად" — ნათქვამია ფლორენციელთა ოფიციალურ განცხადებაში.

მოგეხსენებათ, „იებს" ძმები ანდრეა და დიეგო დელა ვალეები მართავენ. მათ ადრე ლუკა ტონის სურვილი არ გაითვალისწინეს და „ინტერში" არ გაუშვეს, მაგრამ ერთი წლის მერე მაინც მოუწიათ მისი გაყიდვა, ოღონდ „ბაიერნში". რაღაც მსგავსი, შესაძლოა, მუტუს შემთხვევაშიც მოხდეს.

დანებებას არც „რომა" აპირებს. როგორც ჩანს, დედაქალაქელები აგვისტოს ბოლომდე ყველანაირად ეცდებიან მიზნის მიღწევას.

„მუტუს თაობაზე მოლაპარაკებები დაწყებულია და მათ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე გავაგრძელებთ. იმედია, საწადელს მივაღწევთ" — განაცხადა „ჯალოროსის" ტექნიკურმა დირექტორმა ბრუნო კონტიმ.

**კოკი კანდელაკი**



# მაიკონი სირთულეებს არ უფრთხის

„ინტერი" მომავალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა და ერთ-ერთი პირველი, ვინც ჟურნალისტებისთვის მცირე პრესკონფერენცია მოაწყო, ბრაზილიელი მცველი დუგლას მაიკონი გახლდათ



— ბოლო ორი სეზონის განმავლობაში „ინტერის" ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრეთ ადგილი. როგორი იქნება მომავალი სეზონი?

— რთული და დაძაბული, როგორც ყოველთვის. ცხადია, ბევრი კონკურენტი გვეყოლება. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ და გვინდა, გასული წლების წარმატებები გავიმეოროთ.

— ჟოზე მაურინიუმ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე?

— კარგი. ახალი მეთოდით ვვარჯიშობთ. ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია, რათა სეზონი მოგებებით დავიწყოთ.

— მომავალ სეზონში მილანურ დერბიში „როსონერის" ბრაზილიური თავდასხმა ეყოლება — რონალდინიო, კაკა, პატო... „ნერაძურის" კი ბრაზილიური დაცვა — მეკარე ჟულიო სეზარი, თქვენ, მაქსველი...

— ჯერ დავიცადოთ, ამაზე საუბარი ნაადრევია. „მილანს" უმაღლესი კლასის მოთამაშეები ჰყავს, მაგრამ ჩვენ საკუთარ თავზე უნდა ვიფიქროთ.

— თქვენს კონკურენტებზე, იგივე „მილანზე", „რომაზე" და „იუვენტუსზე" რას ფიქრობთ? ისინი ისევ ერთი ნაბიჯით უკან არიან?

— ჩვენ ჯერაც ჩემპიონები ვართ და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ეს სტატუსი შევინარჩუნოთ, მაგრამ ვიცით, რომ ეს ძალიან ძნელი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

# ჩეხურ-გერმანული დრამა

**ნახევარფინალი**

**იტალია 1:0 უნგრეთი**

1:0 ფორესტიერი (65)

**გერმანია 2:1დ.დ (1:1). ჩეხეთი**

1:0 რისე (17), 1:1 ნეციდი (24), 2:1 სუკუტა-პასუ (119)

**ფინალი: 26 ივლისი**

**იტალია — გერმანია**



გერმანელები ფინალში
რიჩარდ სუკუტა-პასუმ გაიყვანა

იტალიის 19-წლამდელთა ნაკრები 2003 წლის მერე პირველად გავიდა ფინალში და ახლა ამ ტურნირის მეორედ მოგებას შეეცდება.

უნგრელ ახალგაზრდებს კი ქების მეტი არაფერი ეკუთვნით. მათ 19-წლამდელთა ჩემპიონატზე დებიუტი ჰქონდათ და თავი მშვენივრად დაგვამახსოვრეს. ჯგუფში პირველი ორი მატჩი უნგრელებმა ერთნაირი ანგარიშით მოიგეს — 1:0. მერე გადახალისებული შემადგენლობით ბოლომდე იბრძოლეს გერმანიასთან, მაგრამ მაინც დამარცხდნენ — 1:2. ნახევარფინალში კი ტოლი არაფერში დაუდეს იტალიის საკმაოდ ძლიერ ნაკრებს, მაგრამ ცოტა არ გაუმართლათ და ტურნირს დაემშვიდობნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ უნგრეთი უფრო ცოცხლადაც კი გამოიყურებოდა და თითქოს უპირატესობასაც ფლობდა, მაგრამ საკუთარი შანსები ვერ გამოიყენა.

ტიბორ სისას შეგირდებმა კარგად დაიწყეს და დებიუტში რამდენჯერმე აანერვიულეს აპენინელები. თუმცა უნგრელების პრობლემა ის იყო, რომ მათ იერიშებს სიმწვავე აკლდა.

იტალიელებმა კი ნელნელა დაალაგეს თამაში და კლანჭებიც გამოაჩინეს. საბოლოოდ, მათ თავისას 65-ე წუთზე მიაღწიეს, როცა ჯოვანი ფორმიკონის ნაცვლად მინდორზე შესულმა „სიენას" ნახევარმცველმა ფერნანდო ფორესტიერიმ მარცხენა ფლანგზე გაილაღა და მშვენიერი დარტყმით მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა.

უნგრელები გათანაბრებას კი ეცადნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. შეხვედრის მიწურულს მათ ძელსაც კი გაარტყეს ბურთი. მომენტები იტალიელებსაც ჰქონდათ.

„პირველ ტაიმში ცუდად გამოვიყურებოდით, ჩემს გუნდს ვერ ვცნობდი. შეცდომა მეც დავუშვი, თამაში 4-4-2-თ დავიწყე. შესვენებამ ჩვენზე კარგად იმოქმედა, ყველაფერი გამოვასწორეთ, შევცვალეთ ტაქტიკაც, 4-2-3-1-ზე გადავერთეთ და ამან შედეგი გამოიღო. უნგრელებმა მართლაც კარგად ითამაშეს და ბევრი პრობლემა შეგვიქმნეს, მაგრამ მეორე ნახევარში ფიზიკურად გაუჭირდათ და ფინალში გასვლა შევძელით, რაც ძალიან გვახარებს" — თქვა იტალიელთა მწვრთნელმა ფრანჩესკო როკამ.

ტიბორ სისა: „ვწუხვარ, რომ ჩვენი ფანები მეტად ვერ გავახარეთ. ეს იყო კარგი მატჩი, ორი მშვენიერი გუნდის მონაწილეობით. თუმცა გოლი იტალიელებმა გაიტანეს და ფინალშიც ისინი გავიდნენ, შესაბამისად, დამსახურებულადაც, რასაც ვულოცავ და წარმატებებს ვუსურვებ. თუმცა იმედია, მომავალში რევანშის შანსი მოგვეცემა. საკუთარი მომენტები ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ თამაშითა და მთლიანად ტურნირით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ, პირიქით, ვამაყობ ჩემი გუნდით. ჩინებულად ვითამაშეთ..."

უაღრესად დაძაბული და დრამატული გამოდგა მეორე ნახევარფინალური მატჩი, რომელშიც ტურნირის მასპინძელი ჩეხეთი დამატებითი დროის ბოლოსწინა წუთზე გაშვებული გოლით დამარცხდა გერმანიასთან. როგორც უნდა დამთავრდეს ფინალი, უკვე შეიძლება ითქვას, რომ გერმანიამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ისევე, როგორც ჩეხეთმა.

გერმანიამ უკეთ დაიწყო და რამდენიმე სახიფათო შეტევაც განახორციელა, მაგრამ გოლი მაშინ გაიტანა, როცა ჩეხებმა სადებიუტო შტურმს თითქოს გაუძლეს და გააქტიურება დააპირეს. მე-17 წუთზე მარსელ რიისემ სოლო-გარღვევა კარგი დარტყმით დააგვირგვინა.

ჩეხებმა თავიანთი პირველივე გააზრებული იერიში გოლით დაასრულეს — ლუკაშ მარეჩეკის ჩაწოდებულს ტომაშ ნეციდის კოხტა თავური მოჰყვა. ეს მისი მეოთხე გოლი გახლდათ ტურნირზე.

ტყუპების, ლარს და სვენ ბენდერების წყალობით გერმანელები ნახევარდაცვის ცენტრში გასაქანს არ აძლევდნენ ჩეხებს და თამამად უტევდნენ. თუმცა მასპინძლებმა მაინც მოძებნეს მეტოქის რიგებში სუსტი წერტილები და, იგივე ნეციდს ორი კარგი მომენტი შეექმნა, მაგრამ გერმანელები გადარჩნენ.

ბოლო წუთებზე ორივე გუნდს ჰქონდა შანსი, მაგრამ მასპინძლებმა უფრო მწვავე მომენტები შექმნეს. ერთ ეპიზოდში ნეციდმა თავურით ისეთი ბურთი ააცილა, რომ გერმანელებსაც გაუჭირდათ დაჯერება.

ცოტა მომენტი არც დამატებით დროში ყოფილა. ჩეხთა მხრიდან ისევ ნეციდი გამოირჩეოდა, ხოლო გერმანელთა რიგებში — შეცვლაზე შესული რიჩარდ სუკუტა-პასუ, რომელმაც ერთი-ორი შანსი გაანიავა, მაგრამ 119-ე წუთზე, როცა თითქმის ყველა პენალტებისთვის ემზადებოდა, მიზანი გაისწორა და თავისი ნაკრები ფინალში გაიყვანა.

„ფინალში ვართ და ძალიან გვიხარია. ბიჭებს ბრძოლა ვთხოვე, რაც ხუთიანზე შეასრულეს, საქებარი სიტყვების გარდა არაფერი მეთქმის. სრულიად დამსახურებულად ვიმარჯვეთ. ბოლოსწინა წუთზე გავიტანეთ, რაც ნიშნავს, რომ გაგვიმართლა, მაგრამ მთლიანობაში ნამდვილად ჩვენ გვეკუთვნოდა მოგება. ვიცოდით, ჩეხეთის ძლიერ ნაკრებთან მძიმე ბრძოლა გველოდა და მაქსიმალურად მოვემზადეთ. მშვენიერი მატჩი გამოვიდა, ქომაგებიც ნასიამოვნები დარჩნენ" — თქვა გერმანელთა მწვრთნელმა ჰორსტ ჰრუბეშმა.

ჩეხთა თავკაცი იაკუბ დოვალილი: „მჯერა, რომ ეს მატჩი და ფინალი ტურნირის მშვენება იქნება. ბოლომდე ვიბრძოლეთ, ვფიქრობ, ქომაგები არ გავაწბილეთ. მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლებიც მოვიპოვეთ, ასევე ადგილი 2009 წლის 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ვამაყობ ჩემი ბიჭებით, რომლებმაც ყველა შეხვედრა ბრწყინვალედ ჩაატარეს და ბოლომდე დაიხარჯნენ, მათ დ იდი მომავალი აქვთ. სამწუხაროა, რომ 89-ე წუთზე ტომაშ ნეციდმა კარგი შანსი ვერ გამოიყენა და ვერ მოვიგეთ, მაგრამ ეს ფეხბურთია. იტალიასთან დაძაბულმა მატჩმაც იჩინა თავი, მაშინ დიდი ენერგია დავხარჯეთ და დამატებით დროში ძალა აღარ გვეყო".



# სენის 80 გოლი

**ბრაზილიის** ნაკრების ყოფილმა და „სან პაულუს" ამჟამინდელმა მეკარემ როჟერიუ სენიმ თავისი მორიგი, მე-80 გოლი გაიტანა. ეს 20 ივლისს, ბრაზილიის მიმდინარე ჩემპიოანტის მე-13 ტურში მოხდა. „სან პაულუმ" „ბოტაფოგოს" 2:1 მოუგო, სენიმ კი 35-ე წუთზე პენალტით იხეირა.

35 წლის სენის ამ 80 გოლიდან 34 პენალტით აქვს გატანილი, დარჩენილი 46-დან უმეტესობა — ჯარიმით. იგი საგრძნობლად უსწრებს სხვა მეგოლე-მეკარეებს, მათ შორის, მეორე ადგილზე მყოფ პარაგვაელ ხოსე ლუის ჩილვერტსაც, ვის ანგარიშზეც 62 ბურთი და ვინც კარიერა უკვე დაასრულა.

**ქოქი ქანდელაკი**

| | | | |
|---|---|---|---|
| როჟერიუ სენი | სან პაულუ | ბრაზილია | 80 (34/46) |
| ხოსე ლუის ჩილავერტი | პენიაროლი | პარაგვაი | 62 (45/17) |
| რენე იგიტა | რიონეგრო | კოლუმბია | 41 (37/4) |
| ხორე კამპოსი | პუებლა | მექსიკა | 40 (9/31) |
| დიმიტარ ივანკოვი | ქაისერი | ბულგარეთი | 33 (33/0) |
| ჯონი მარტინ ვეგასი | სპორტი | პერუ | 32 (26/6) |
| ალვარო მისაელ ალფარო | მეტაპანი | სალვადორი | 31 (20/11) |
| ჰანს-იორგ ბუტი | სპორტინგი | გერმანია | 28 (28/0) |
| მარკო ანტონიო კორნესი | იკიკე | ჩილე | 24 (24/0) |
| დრაგან პანტელიჩი | რადნიჩკი | იუგოსლავია | 22 (21/1) |

*შენიშვნა: ფრჩხილებში მითითებულია პირველი რიცხვი გატანილი პენალტების რაოდენობის მანიშნებელია, მეორე — თამაშიდან გატანილი გოლებისა*

# როგორ გავაღვიძოთ მიძინებული არწივები



კიკე სანჩეს ფლორესი

**ლისაბონის** „ბენფიკას" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა კიკე სანჩეს ფლორესმა ქომაგები დააიმედა, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა წარმატებული სეზონი გვქონდეს და მჯერა, ასეც იქნებაო.

პორტუგალიის ყველაზე ტიტულიანმა გუნდმა წინა სეზონი ცუდად ჩაატარა. „არწივები" ჩემპიონთა ლიგის მიღმაც კი დარჩნენ და ფანები ვითარების გამოსწორებას ელიან.

„ჩემს გუნდს უეფას თასზე სათამაშოდ სერიოზულად მოვამზადებ, ამ ტურნირზე ღირსეულად უნდა გამოვიდეთ. მომავალ წელს კი, იმედია, ჩემპიონთა ლიგას დავუბრუნდებით. ეს დიდი კლუბია, დიდი ისტორიითა და ტრადიციებით, ჩემი წინა გუნდის, „ვალენსიისა" არ იყოს. თუმცა „ბენფიკა" მიძინებულივითაა და ევროპაში ცოტა მიავიწყდათ კიდეც. ჩემი საქმე ამის გამოსწორებაა. ამის ხერხები ვიცი, მაგრამ ყოველდღიურად თავდაუზოგავად უნდა ვიმუშაოთ" — თქვა ფლორესმა.

შეგახსენებთ, რომ ახლახან „არწივები" არგენტინელი პლეიმეიკერით, პაბლო აიმარით გაძლიერდნენ. მას ფლორესთან ერთად „ვალენსიაში" უმუშავია.

**ქოქი ქანდელაკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იურგენ კლინსმანი: ჯერ ვხურდებით



სებასტიან კელისა და ტიმ ბოროვსკის ორთაბრძოლა

**გერმანია**

**სუპერთასი**

**დორტმუნდი 2:1 ბაიერნი**

1:0 ბლაშჩიკოვსკი (29), 2:0 ჰაინალი (33), 2:1 ექიჩი (73)

**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი, რუკავინა, სუბოტიჩი, ჰუმელსი, დედე, ჰაინალი (ფედერიკო 60), კელი, ბლაშჩიკოვსკი (კრუშკა 60), ბაკლი (კრინგე 46), ვალდესი (კლიმოვიჩი 71), პეტრიჩი (სადრიჯაი 86)

მწვრთნელი: იურგენ კლოპი

**ბაიერნი:** რენზინგი, სანიოლი (ვან ბუიტენი 46), ლუსიო, დემიკელისი, ლელი, ვან ბომელი, ბოროვსკი (ოტლი 46), ალტინთოფი (ექიჩი 71), შვაინშტაიგერი (კროოსი 46), კლოზე (ნგვენია 46), ტონი (პოდოლსკი 46)

მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი

მსაჯი: კინჰოფერი

47 100 მაყურებელი

**იურგენ კლინსმანის** რევოლუციურმა „ბაიერნმა“ სეზონის პირველი ოფიციალური შეხვედრა წააგო.

დორტმუნდში „სიგნალ იდუნა პარკზე“ გერმანიის სუპერთასისთვის მატჩში, მიუნხენელებმა ვერაფრით გააკვირვეს გულშემატკივრები და მასპინძლებთან დამარცხდნენ.

სუპერთასი 1996 წლის შემდეგ არ გათამაშებულა და მაშინაც „დორტმუნდმა“ მოიგო.

ეს გუნდები მაისში გერმანიის თასის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და „ბაიერნმა“ ლუკა ტონის გოლებით 2:1 იმარჯვა.

იურგენ კლინსმანს მარცხიანი დებიუტი დიდად არ უნაღვლია: „საკმაოდ რიგიანი და საინტერესო თამაში გამოვიდა. პირველ ტაიმში ორი საგოლე მომენტი ჩვენც გვქონდა. მეტოქე რომ დაწინაურდა, საქმე გაგვირთულდა.

მატჩამდე დილით გულმოდგინედ ვივარჯიშეთ, მაგრამ ჩემს გუნდს სისწრაფე აკლდა. სეზონი ჯერ არ დაწყებულა და ბიჭები ფორმაში არ არიან. ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელები ექვსი დღის წინ დაგვიბრუნდნენ და მოსამზადებელი პერიოდი ახლაღა გახურდა, რაც დაახლოებით ოთხ კვირას გასტანს. ეს სრულიად ნორმალური პროცესია“.

„დორტმუნდის“ თავკაცმა, კლინსმანის სეხნია იურგენ კლოპმა განაცხადა: „ჩემმა გუნდმა კაგად ითამაშა. თასი კი მოვიგეთ, მაგრამ „ბაიერნმა“ ვერ აჩვენა ნამდვილი ძალა. აგვისტოში ბუნდესლიგაში შევხვდებით ერთმანეთს და დარწმუნებული ვარ, სულ სხვა „ბაიერნს“ ვიხილავთ“.

ანგარიში იაკუბ ბლაშჩიკოვსკიმ გახსნა: მოსეირნე კრისტიან ლელს გაასწრო, საჯარიმოში შევიდა და რენზინგისგან მარცხენა კუთხეში დაარტყა. ტამაშ ჰაინალმა კი სხვაობა უხეიროდ დაყენებული კედლის წყალობით გაზარდა. ბურთი დაშლილ კედელში თავისუფლად გაძვრა და მეკარისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში შევარდა.

მანამდე ლუკა ტონიმ ვერ გაიტანა თავით რვა მეტრიდან, როცა ხელს არავინ უშლიდა, ხოლო მიროსლავ კლოზე მეკარესაც გასცდა და ცარიელი კარისთვის აცილება მოახერხა.

მეორე ტაიმში „ბაიერნმა“ ბევრი ვერაფერი შექმნა მიუხედავად იმისა, რომ კლინსმანმა ნახევარი გუნდი შეცვალა. 18 წლის თურქმა მეჰმეთ ექიჩიმ მეკარეს ფეხებშუა გაუძვრინა ბურთი და თასი „დორტმუნდს“ დარჩა.

**ვაჟა ხუციშვილი**



დიეგო

# ბოდიში პარიზიდან პეკინის გამო

**კლუბის** წინააღმდეგობის მიუხედავად, ნაკრებში გაქცეულმა ვერდერელმა დიეგომ ბოდიში პარიზიდან მოიხადა.

ბრაზილიის ოლიმპიური გუნდის ფეხბურთელები პეკინში გამგზავრებამდე პარიზში იკრიბებიან. შალკელი რაფინიაც იქაა, რომელიც ორშაბათს აიბარგა. რაფინიამ ტელეფონით მოახსენა „ხუმარების“ გენერალურ მენეჯერს, რომ გუნდს ავსტრიულ შეკრებაზე არ მიჰყვება და საფრანგეთში წავიდა.

დიეგომ, რომელსაც „ვერდერი“ ოლიმპიადაზე არ უშვებდა, განაცხადა, რაფინიასავით არ მოვიქცევიო და მაინც იგივე გააკეთა, ახლა კი ბოდიშს იხდის: „ჩემს კარიერაში უმძიმესი დღე იყო, როცა კლუბის წინააღმდეგ ნაბიჯი გადავდგი. რამდენიმე კვირის განმავლობაში ვსაუბრობდი შეფებთან და მათ გაიგეს, რომ ოლიმპიადაზე თამაშზე ვოცნებობდი. მეც გავიგე მათი, რადგან კლუბისთვის საჭირო ფეხბურთელად მიმიჩნევენ და ამის გამო გაშვება არ უნდოდათ.

არცერთ მხარეს დათმობა არ სურდა და ურთულეს ვითარებაში აღმოვჩნდი.

სხვა გამოსავალი არ მქონდა, რაკი ვიცოდი, რომ ჩემი მომავალი ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში, ოლიმპიადაზე თამაშზე იყო დამოკიდებული. იძულებული გავხდი, წავსულიყავი და არა მგონია, „ვერდერს“ გახარებოდა, მე რომ ბრაზილიის ეროვნულ გუნდში პრობლემები შემქმნოდა.

ვიმედოვნებ, რომ „ვერდერის“ ფანები ჩემს ნაბიჯს გაგებით შეხვდებიან. პეკინიდან ოლიმპიური ოქროთი დავბრუნდები და კლუბთან ერთადაც ამ სეზონში ბევრ ჯილდოს მოვიგებ“.

ბრემენის „ვერდერი“ კი საარბიტრაჟო სასამართლოში ჩივილს და ფიფასთან ომის გაჩაღებას აპირებს. კლუბის შეფები ამტკიცებენ, რომ ოლიმპიადა ფიფას კალენდარში არ ზის და სულაც არ არიან ვალდებულნი, ფეხბურთელი პეკინში გაუშვან.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩემპიონობას კარგი სადილი უხდება

**ხავიერ მასკერანომ** წერტილი დაუსვა ოლიმპიადაზე მის წასვლა-არწასვლის შესახებ ატეხილ მითქმა-მოთქმას. არგენტინელი ნახევარმცველი ერთი თვით ტოვებს „ლივერპულს“ და ოლიმპიური ნაკრების ბანაკში მიემგზავრება.



შეგახსენებთ, რომ 24 წლის მასკერანო ერთ-ერთია ასაკობრივ ლიმიტს გადაცილებულ ფეხბურთელებს შორის, რომელთაც არგენტინის ოლიმპიურ ნაკრებში უხმეს. „ლივერპულიდან“ კი პეკინში კიდევ ორი ფეხბურთელი მიდის — ჰოლანდიელი რაიან ბაბელი და ბრაზილიელი ლუკაშ ლეივა.

მასკერანო იმედოვნებს, რომ ჩინეთში არგენტინის ნაკრებს მეორე ოქროს მედლის მოპოვებაში დაეხმარება. დაბრუნებულს კი, მერსისაიდელთა რიგებში ყველაფერი კარგად დახვდება და მომავალ სეზონში ისინი პრემიერლიგის მოსაგებად იბრძოლებენ. მოგეხსენებათ, ინგლისის ყველაზე ტიტულიანი კლუბი ქვეყნის ჩემპიონი 1990 წლის მერე არ გამხდარა და ფანებს მოთმინების ფიალა რა ხანია, აევსოთ.

„ოლიმპიადაზე მივემგზავრები და გუნდში ერთი თვის მერე დავბრუნდები. იმედია, პეკინიდან ოქროს მედლით დავბრუნდები, მერე კი „ლივერპულთან“ ერთად ინგლისის ჩემპიონატს მოვიგებ და მეორე მედალსაც დავისაკუთრებ. მიუხედავად იმისა, რომ მალე მაინც უნდა წავსულიყავი, მიხარია, რომ „ლივერპულთან“ ერთად მომავალი სეზონისთვის მოსამზადებელი პერიოდის რამდენიმე დღე მაინც გავატარე. მნიშვნელოვანი იყო, ახალი თანაკლუბელები ახლავე გამეცნო. მოსამზადებელი პერიოდი სერიოზული რამაა. დიახ, ახლა ჩვენთვის ადვილი დრო არ არის, ვარჯიში დღეში ორჯერაა და ძალიან ვიღლებით, მაგრამ ბურთთან დიდ დროს ვატარებთ და ვფიქრობ, სეზონის დასაწყისს კარგად შევხვდებით“ — თქვა მასკერანომ.

რაფაელ ბენიტესს არგენტინელი „სანდერლენდთან“ და „მიდლსბროსთან“ სასტარტო მატჩებში არ ეყოლება.

მერსისიდელთა ესპანელი მეკარე პეპე რეინა კი ზღვის პროდუქტების გრანდიოზული წვეულების მოწყობის პირობას დებს, თუ „ენფილდის“ ბინადრები გაჩემპიონებას შეძლებენ. გარდა ამისა, კლუბის გამოცვლისა და სამშობლოში დაბრუნების შესახებ გავრცელებული ცნობები უარყო.

„სამშობლოში დაბრუნებაზე დღეს ნამდვილად არ ვფიქრობ — ამბობს რეინა — „ლივერპული“ მიყვარს და აქ დიდი ხნით ვაპირებ დარჩენას. სხვათა შორის, ოჯახი ასი პროცენტით მიჭერს მხარს. გუნდთან ერთად ინგლისის ჩემპიონატის მოგებას ვაპირებ და თუ ეს მოხდება, თანაგუნდელებისთვის დიდ წვეულებას მოვაწყობ, ზღვის პროდუქტებით საჭმელს თავად მოვამზადებ“.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ფერგის პასუხები მიაყარეს

**ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** ალექს ფერგიუსონს ჭკუა არ ააყოლა და სიტყვების ომში არ ჩაერთო.



ლუიშ ფელიპე სკოლარი

შოტლანდიელმა თქვა, „ჩელსის“ ბებერი ფეხბურთელები საჩემპიონო რბოლაში ვერ შეგვეჯიბრებიან, სკოლარი დიდი წნეხის ქვეშ იქნება და მაურინიუს მიღწევებს ვერ გაიმეორებსო.

ალექს ფერგიუსონს არაერთხელ მიუმართავს ბრძოლის ამ ხერხისთვის სეზონის დაწყებამდე, თუ რომელიმე გადამწყვეტი მატჩის წინ. ამ საქმეში ვენგერი, მაურინიუ, ბენიტესი და სხვა მწვრთნელებიც ჩაუთრევია და „ფსიქოლოგიური ომები“ გაჩაღებულა, მაგრამ სკოლარიმ თავი შორს დაიჭირა.

— ერთ წონაში 28 მოკრივე იჩხუბებს და მერწმუნეთ სუსტი იქ არავინ იქნება, ყველასთან სერიოზული ბრძოლაა საჭირო მოსაგებად. წამყვანი ნაკრებები კი მაინც კუბას, ამერიკას, რუსეთს და ჩინეთს ჰყავთ. ისე კი როგორც ვთქვით, სუსტი არავინაა და საერთოდაც კონკურენციამ უფრო მოიმატა, წარმატების მიღწევა ახლა გაცილებით რთული იქნება, ვიდრე ეს ათენში იყო.

**— ყოველთვის ამბობდით, რომ მსაჯები გჩაგრავდნენ და ამის გამო ლიცენზიების აღებაც გაგიჭირდათ. რას იტყვით, როგორი მდგომარეობა იქნება ამ თვალსაზრისით პეკინში. კიდევ ხომ არ გვემუქრება მსაჯებისგან შევიწროება?**

— ოლიმპიადაა და არა მგონია, იგივე სიტუაცია იყოს, რაც სხვა ტურნირებზეა. თან ისიცაა, რომ პეკინში ქართველი ზურაბ ტიბუაც იმსაჯებს. ამას აუცილებლად ანგარიშს გაუწევენ, რადგან თუ ისე მოხდა, ჩვენი მოკრივე დაჩაგრა ვინმემ, იგივეს გაკეთება ტიბუასაც შეეძლება. ამიტომ ამ მხრივ ნაკრებად გველის პრობლემები. ეს კი ცოტას არ ნიშნავს.

**— რას უნდა ელოდოს ქართველი გულშემატკივარი პეკინში ჩვენი მოკრივეებისგან?**

— დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, უფლება არ მაქვს, რომ არ ვთქვა: ამ ბიჭებს ნამდვილად შეუძლიათ მედლის აღება და სწორედ ამას ველი მათგან პეკინში. ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული თუ როგორ ბადეში მოხვდებიან და ბუნებრივია, იღბალიც საჭიროა. თუმც საერთო ჯამში ეს მოკრივეები მზად არიან მედლის მოსაპოვებლად.

**— კი, მაგრამ ბევრ ადამიანს გაუჩნდება შეკითხვა, თუ რის საფუძველზე აკეთებთ ასეთ განცხადებას, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ბიჭებმა ლიცენზიები ბოლო მომენტში მოიპოვეს?**

— ორივე მოკრივეს საკმარისი გამოცდილება აქვს და რაც მთავარია, ამ დრომდე სულ წინ მიდიოდნენ. ანუ პერიოდულად მათი შედეგები უკეთესი ხდებოდა. იზორიამ დიდ ტურნირებზე ჯერ 3 ბრძოლა მოიგო, მერე 4 და ბოლოს ხუთს ველოდი მისგან, მაგრამ ბულგარეთში ევროპის ჩემპიონატზე მსაჯებმა დაგვჩაგრეს. არ დაგავიწყდეთ, ამ ბიჭს წინა ოლიმპიადაზეც აქვს მონაწილეობა მიღებული. იგივე შემიძლია ვთქვა ჟვანიაზეც, მართლა მჯერა, რომ ამათ პეკინში კარგად გამოსვლა და ქართველი გულშემატკივრების გახარება შეუძლიათ.

**ლექსო მაისურაძე**

სუმო

# ლევანები ვახტანგურად ჩქებენ

**ნაგოიას** ბაშოს მე-12 დღე ორივე ქართველი ფალავნისთვის წარმატებული გამოდგა. კოკაიდ წოდებულმა ლევან ცაგურიამ ივლისის ტურნირზე ოდენ მეხუთე შერკინება მოიგო. ჩვენებურმა ხატაკიკომით დაამარცხა დასავლეთის მე-6 მაეგაშირა ტოკიტენკუ. მორიგ ორთაბრძოლას ცაგურია დასავლეთის მე-15 მაეგაშირა კაკიძოესთან გამართავს და აუცილებლად გამარჯვება სჭირდება, რათა დადებითი ბალანსის მოპოვების თეორიული შანსი შეინარჩუნოს. კოკაი მაისის ბაშოს შემდეგ პირველი მაეგაშირობიდან მე-10-მდე დააქვეითეს და ახლაც თუ ვერ შეწვდა დადებით ბალანსს, ამ წოდებასაც ჩამოართმევენ.

დადებით ბალანსამდე ერთი ხელის გაწვდენაზეა მეორე ქართველი უმაღლესლიგელი, ტოჩინოშინად წოდებული ლევან გორგაძე. გუშინ ბაშოზე მან თავის მე-7 გამარჯვება გამოადნო. გორგაძემ ხიკიოტოსით დასცა დასავლეთის მე-8 მაეგაშირა დეჯიმა.

ტოჩინოშინი ტურნირზე დასავლეთის მე-14 მაეგაშირას სტატუსით გამოდის. მას დადებითი ბალანსის მოსაპოვებლად დარჩენილი სამი შეხვედრიდან ერთის მოგებაც ეყოფა. გორგაძეს მშვენიერი შანსი აქვს, რომ მორიგი ბაშო წოდებაში მომატებულმა დაიწყოს. იგი შემდეგ შერკინებას აღმოსავლეთის მე-6 მაეგაშირა პოხოსთან ატარებს.

ტურნირის ერთპიროვნული და პრაქტიკულად დაუწეველი ლიდერი 23 წლის იოკოძუნა ჰაკუხოა. მას 12-დან თორმეტვე გამარჯვება აქვს. ამჯერად ჰაკუხომ დასავლეთის ოძეკი ტიეტაიკაი დაჯაბნა. მომდევნო ბრძოლას მონღოლი იოკოძუნა ოძეკი კაიოს გაუმართავს.

ჰაკუხოს დაწევის თეორიული შანსი კი ორ სუმოისტს — კოტომიცუკის და აღმოსავლეთის მე-13 მაეგაშირა ტოიოხიბიკის — გააჩნიათ. ამ ფალავნებს მხოლოდ სამ-სამი წაგება აქვთ.

**ზურაბ მიგრიაული**

ფრენბურთი



# პეკინამდელო რჩეულო გშტაადი და საქართველო

**პლაჟის** ფრენბურთში პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიანტი ჩვენი ორივე წყვილი, გეორ-გია და საქა-რთველო ჩინეთში გამგზავრებამდე „დიდი სლემის“ ტურნირებზე ხურდებიან და ნაყოფიერ შეკრებას გადიან.

აქვე ვთქვათ, რომ „დიდი სლემის“ ტურნირები, მსოფლიოსა და ევროპული ტურებისგან განსხვავებით, ჯგუფური ეტაპით იწყება და პლეი ოფით გრძელდება.

პეკინის ოლიმპიადამდე ასეთი ორი ტურნირია — შვეიცარიულ გშტაადში გუშინ დაწყებული ფრენბურთობა და თვის ბოლოს ავსტრიულ კლაგენფურტში გასამართი ტურნირი. ჩვენები ორივეგან ითამაშებენ, უფრო ზუსტად კი, შვეიცარიულ „დიდ სლემზე“ უკვე ითამაშეს.

ქალებით დავიწყოთ. საქა-რთველომ ჯგუფში პირველი და ბოლო მატჩი ფრანგულ წყვილთან გიუამზესთან და ჩინელებთან ტიან ჟიუინგთან წააგო, მაგრამ მათ შორის ავსტრიელები, პიშლერი და ჯასპერი დაამარცხა და პლეი ოფის საგზური მოიპოვა, პლეი ოფის პირველივე წრეში კი საქართველომ გერმანელებთან, გოლერთან და ლუდვიგთან ერთ საათში 1:2 წააგეს.

გეორ-გიამ, იგივე რენატომ და ჟორჟმა, ჯგუფური ეტაპი მარცხით დაიწყეს. მათაც გერმანელებთან, მატისიკთან და დოლინგერთან წააგეს. მერე კანადური დუეტი კოდუ-ლელიო 40 წუთში დაამარცხეს. ჯგუფიდან გასასვლელ მატჩში კი დღეს თანამემამულე ბრაზილიელებს, ჰარლის და პედრას შეხვდებიან.

**ბაჩო სვანიძე**



მატეო მარაი

# კოკა კოლას დამლევი ქართველი აღარ დარჩა

## თბილისი. კოკა-კოლას თასი. კაცები საპრიზო 15 000 დოლარი

### მეოთხედფინალი

მატეო მარაი (იტალია, 1) — ლაზარე კუხალაშვილი (საქართველო) 6:2 6:3
დენის მოლჩანოვი (უკრაინა, 4) — ვიშნუ ვარდჰანი (ინდოეთი) 6:1 6:3
დენის პავლოვსი (ლატვია, 3) — სერგეი ბიტაუ (ბელარუსი, 8) 6:4 6:2
შარლ როშე (საფრანგეთი, 7) — დევიდ სავიჩი (სერბეთი, 2) 6:2 6:3

### ნახევარფინალი

მატეო მარაი (იტალია, 1) — დენის მოლჩანოვი (უკრაინა, 4)
დენის პავლოვსი (ლატვია, 3) — შარლ როშე (საფრარგეთი, 7)

### წყვილები. ნახევარმფინალი

ს. ალექსეენკო-ე. ალექსეენკო (უკრაინა) — კუზინი (რუსეთი)-უზაკოვი (უზბეკეთი) 6:2 6:4; მარაი (იტალია) -პავლოვსი (ლატვია) — ვოლენკოვი (რუსეთი)-სავიჩი (სერბეთი) 6:3 6:0

### ფინალი

ს. ალექსეენკო-ე. ალექსეენკო — მარაი-პავლოვსი

**ლეილა მესხის** საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე მიმდინარე „კოკა კოლას" თასზე გუშინ მეოთხედფინალური მატჩები ჩატარდა და ერთის გამოკლებით ყველა ლოგიკურად დასრულდა.

სამწუხაროდ, ამ ლოგიკურ დასასრულში მოხვდა ტურნირს შემარჩენელი ბოლო ჩვენიანი ლაზარე კუხალაშვილი, ვინც „კოკა კოლას" თასის პირველ ნომრად განთესილ იტალიელ მატეო მარაისთან იოლად დამარცხდა.

აქვე ვთქვათ, რომ წლევანდელი ტურნირი თავისი საკვალიფიკაციო ეტაპიდანვე თორმეტმა ქართველმა დაიწყო, მაგრამ ნახევარფინალში, სამწუხაროდ, ერთიც ვერ მოხვდა. ლაზარე კუხალაშვილის მომრევი მატეო მარაი კი თბილისურ ჩოგნაობას აგერ უკვე მეორე კვირაა წაუგებლად განაგრძობს. შეგახსენებთ, რომ „კოკა კოლას" თასამდე მარაიმ ამავე კორტებზე თბილისის სათიხნარო ტურნირი მოიგო. მაშინ მარაიმ ფინალში სერბი დევიდ სავიჩი დაამარცხა და იყო შანსი, მათი ფინალი ახლაც განმეორებულიყო, მაგრამ ფრანგმა შარლ როშემ სხვანაირად გადაწყვიტა.

შარლ როშე ტურნირს მე-7 ნომერი კია, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ფრანგისთვის, რომ თბილისის ტურნირის ფინალისტი და ახლა მეორე ნომრად განთესილი დევიდ სავიჩი ცალი ხელით 6:2 6:3 დაემარცხებინა. თავში რომ ვთქვით, მეოთხედფინალში მხოლოდ ერთი მატჩი დასრულდა ალოგიკურად, სწორედ ეს შემთხვევა ვიგულისხმეთ.

სხვა მატჩებიდან უკრაინელმა დენის მოლჩანოვმა ერთ საათში დაამარცხა ჩოგანი განუთესავ ინდოელს ვიშნუ ვარდჰანს, ლატვიელმა დენის პავლოვსმა კი სანახევარფინალო საგზური ბელორუსი სერგეი ბიტაუს დაჩოგვნით მოიპოვა. სწორედ ლატვიელი ითვლება იტალიელი მატეო მარაის მთავარ კონკურენტად, თუმც იქამდე უდრეკი შარლ როშეს „მოთვინიერება" მოუწევს, ხოლო მარაის მოლჩანოვის ბარიერი აქვს დასაძლევი.

სხვათა შორის პავლოვსი და მარაი თბილისში მხარდამხარაც თამაშობენ და წყვილებში ფინალშიც გავიდნენ. თუ იტალიურ — ლატვიურმა დუეტმა უკრაინელი ძმების ევგენი და სერგეი ალექსეენკოების დამარცხება შეძლო, საერთო ტიტულს მოიპოვებენ.

**ბაჩო სვანიძე**

# ოქსანა კალაშნიკოვამ წყვილად გაისროლა

**ხარკოვში** 25-ათასიან ტურნირს შემორჩენილმა ერთადერთმა ქართველმა, სოფო შაფათავამ, მასპინძელ კრისტინა ანტონიჩუკს ვერაფერი მოუხერხა და ტურნირის მეორე წრეში 6:4 , 3:6, 1:6 დაამარცხა.

მეორე ქართველმა ოქსანა კალაშნიკოვამ, ვინც პირველივე წრიდან გამოეთიშა ტურნირს, წყვილთა შეჯიბრში იყოჩაღა და აგერ, ნახევარფინალსაც უწია. ჩვენებური და მისი მეწყვილე, რუმინელი მიჰაელა ბუზარნესკუ, ტურნირზე მე-2 ნომრად არიან განთესილები, მეოთხედფინალში კი უკრაინელების, ავიდენკოსა და ტეპლიაკოვას დაჩაგვრა მოუწიათ — 6:2, 7:5.

ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში მათი მეტოქე კვლავ უკრაინელები, დები ლუდმილა და ნადია კიჩენკოები იქნებიან.

ამასობაში, ლუქსემბურგის ქალაქ პენტანაუში ძირითად ბადეში ეულად მყოფმა ქართველმა, მაკა ჩახნაშვილმა, პრველივე წრეში წააგო მე-2 ნომრად განთესილ ფრანგ სტეფანი ფიორეზთან 1:6, 1:6.

წყვილებში კი ესტონელ რუუტელმასან ერთად, რუმინელ დულგერუსა და უკრაინელ პილნიკს 6:1, 6:3 მოუგო და მეოთხედფინალში ბულგარელ ევტიმოვას და სერბ კოზიჩს შეხვდებიან. ლუქსემბურული ტურნირის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია.

**ლევსო მაისურაძე**



# დავით უსტიაშვილის საელიტო სატკივარი: ტრავმები, ტრავმები...

საქართველოს კალათბურთელთა 20-წლამდელთა ნაკრებმა იტალიის საერთაშორისო ტურნირი ორი წაგებით და ერთი გამარჯვებით მოილია და ახლა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას დიღომში, „დინამოს" ბაზაზე განაგრძობს. შეგახსენებთ, დავით უსტიაშვილის ბიჭებმა იტალიასთან და საბერძნეთთან დათმეს შეხვედრები და ბოლო თამაშებში სლოვენიას აჯობეს.



ნაკრები ბებერი კონტინენტის პირველობაზე რიგაში 1 აგვისტოს გაემგზავრება, სადაც ჩვენი მეტოქეები იტალია, ისრაელი და თურქეთი იქნებიან. მანამდე კი **დავით უსტიაშვილს** მოვუსმინოთ.

— იტალიის ტურნირი საკმაოდ საინტერესო და საჭირო იყო ნაკრებისთვის. იქ ძალიან სერიოზული გუნდები თამაშობდნენ. მატჩებმა დადებითი და უარყოფითი მომენტები დაგვანახვა. ნაკლი ის იყო, რომ ბიჭები ბურთს ხშირად კარგავდნენ და ელემენტარულ შეცდომებს უშვებდნენ, ეს განსაკუთრებით საბერძნეთთან თამაშზე ითქმის. მაინც შეუთამაშებლობის ბრალი იყო და თან ასეთ დონეზე თამაშს შეუჩვეველნი არიან. სხვა ტემპია საჭირო, თუმც ისიც სათქმელია, რომ თამაშიდან თამაშამდე უკეთ გამოიყურებოდნენ და ბოლოს სლოვენიასაც მოვუგეთ. არავის ეგონოს, რომ სუსტი ნაკრები დავამარცხეთ, პირიქით, ისინი სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ და იტალიასთან და საბერძნეთთან მაგრად იბრძოლეს.

**— ამ ეტაპზე როგორ ფორმაშია ნაკრები, ევროპის ჩემპიონატამდე ხომ ბევრიც აღარ დარჩა?**

— ვფიქრობ, ფიზიკურად ცუდად არ არიან. დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. იტალიის ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ჩვენი მთავარი პრობლემა ისაა, რომ დიდი არჩევანის საშუალება არ გვაქვს და ტრავმებიც არ გვცილდება. რიჩარდ მათიაშვილს სიცხე აქვს და დღეს არ უვარჯიშია, ასევე დიმა ფაცაციაც. ძალიან ძნელია, როდესაც 2-3 კაცი ხშირად გაკლდება ავადმყოფობის გამო და ყველას ერთად ვერ ავარჯიშებ...

**— არჩევანის საშუალება არ გვაქვსო თქვით და ეს ალბათ, იმიტომ, რომ რამდენიმე კაცი ამის გამო ველარ გეხმარებათ?**

— წინა ნაკრებიდან 5-6 ბიჭი ველარ გვეხმარება, არადა, ისინი სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ. ახლა სულ 13 კაცი მყავდა და, როგორც ვთქვი, ტრავმები არ გვშორდება.

**— პროგრამა მინიმუმი რა იქნება ევროპის ჩემპიონატზე?**

— ყველაფერს გავაკეთებთ, რომ A-დივიზიონში დავრჩეთ. მართლაც უძლიერეს ჯგუფში მოვხვდით. იტალია უკვე ვნახეთ და საერთოდაც მათ სუსტი ნაკრები არასდროს ჰოლიათ. ისრაელიც ნორმალური ნაკრებია. თურქებს არ ვიცნობ, მაგრამ მათი ასაკობრივი ნაკრებები ყოველთვის სიძლიერით გამოირჩევიან. ისე, ევროპის ჩემპიონატზე სულ 16 ნაკრები მონაწილეობს და დარწმუნებული ვარ იქ სუსტი მართლა არავინ იქნება.

**— როგორ ფიქრობთ, ჩვენი მთავარი კონკურენტი ვინ იქნება ჯგუფში მე-3 ადგილის დასაკავებლად?**

— ახლა მართლა ძნელია ამის განსაზღვრა. შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ ერთი თამაშის მოგება არც გვეყოს ან პირიქით. ვნახოთ, როგორ ჩაივლის პირველი ტური — იტალია ისრაელს ხვდება, ჩვენ — თურქეთს. თუ ისე მოხდა, რომ ჯგუფში ჩავრჩით, მაშინ ოთხივე ჯგუფის უცუდესი ნაკრებები ერთმანეთში ითამაშებენ და აქედან ორი მოახერხებს ელიტაში დარჩენას.

მინდა, გულშემატკივარს ვუთხრა, რომ დარწმუნებული ვარ, ბიჭები ყველა თამაშში ბოლომდე დაიხარჯებიან და არაფერს დაზოგავენ მიზნის მისაღწევად...

**ლევსო მაისურაძე**



გუშინ საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ღია ვარჯიში ჩაატარა

# ამერიკა ევროპულმა ფულმა დააბრმავა



# საით, ჯოშ?

**გაუგონარი** ამბავი მოხდა ნბა-ში. „ატლანტა ჰოქსის" თავისუფალმა აგენტმა ჯოშ ჩილდრესმა სხვა კლუბთან დადო კონტრაქტი. გაუგორობა კი ისაა, რომ „ატლანტას" მოთამაშე არა ნბა-ს რომელიმე კლუბმა, არამედ ბერძნულმა „ოლიმპიაკოსმა" წაჰგვარა.

ჩვეულებრივ ნიჭიერი მოთამაშეები უკუმიმართულებით ნაკადს ქმნიან, ნბა-ში მიდიან ევროპიდან და პლანეტის უფრო ნაკლებგანვითარებული საკალათბურთო ადგილებიდან. ამერიკელებიც მიდიან ევროპაში, მაგრამ ძირითადად ასაკშეპარული ვარსკვლავები, მაგალითად, დომინიკ უილკინსი, ბობ მაკადუ ან სპენსერ ჰეივუდი ბებერ კონტინენტზე მაშინ გადაბარგდნენ, როცა ნბა-სთვის მოხუცდნენ. ამერიკას ასევე ტოვებენ ისინიც, ვისაც ნბა-ში ადაპტირება გაუჭირდა, ან საერთოდ არ აქვთ იქ თამაშის შანსი.

მაგრამ ჯოშ ჩილდრესი არც ბებერია და არც უნიჭო. ის ენერგიით და დიდი კალათბურთის თამაშის სურვილით აღსავსე 25 წლის მოთამაშეა, რომელმაც ნბა-ში 4 ნაყოფიერი სეზონი გაატარა, აგროვა საშუალოდ 11 ქულა და 5 მოხსნა. ის პლეი-ოფში გასული გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო. და მთელი კარიერა წინ ჰქონდა. რატომ მიდის ასეთი კალათბურთელი ნბა-დან ევროპაში? მიზეზი მარტივი, მაგრამ გადამწყვეტია: ფული!

„ატლანტა" ჩილდრესს სეზონში 5,5 მილიონს შეჰპირდა, „ოლიმპიაკოსმა" კი სამ წელიწადში 20 მილიონი დაუბეგრავი, ანუ სუფთა ფული შესთავაზა და მოთამაშემაც იქით გაიწია. თანაც იმ პირობით, რომ ყოველი სეზონის ჩამთავრების შემდეგ ექნება კონტრაქტის შეწყვეტის და საბერძნეთიდან წასვლის უფლება.

„ორი დღის წინ ათენში ჩავფრინდი და კარგად დავათვალიერე ადგილი, სადაც უახლოეს პერიოდში თამაში მომიწევს — ამბობს ჩილდრესი — უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. გასაგებია, რომ ეს ნაბიჯი ჩემთვის როგორც მზარდი კალათბურთელისთვის, რისკის დიდ დოზას შეიცავს, მაგრამ მე ცივი გონებით გადავდგი ეს ნაბიჯი და ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება".

„როცა ასეთ თანაგუნდელს კარგავ, ბედნიერი ვერ იქნები — ამბობს „ჰოქსის" ერთ-ერთი ლიდერი ალ ჰორფორდი — ჯოში ისეთი ბიჭია, რომელთან თამაშიც სასიამოვნოა და ჩვენს გუნდში ყველანი გულდაწყვეტილები ვართ. მაგრამ მან ეს გზა ირჩია და რაღას ვიზამთ. ახლა ჩვენმა შეფებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რომ მეორე ჯოში (სმიტი) მაინც შეინარჩუნონ."

გამოუჩნდებიან თუ არა ჩილდრესს მიმბაძველები და გაჰყვებიან თუ არა მის კვალს? ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შემხედვარე, შეუძლებელი არაფერი ჩანს. აგერ, „მემფისში" რიგიანად მოკალათებულმა ესპანელმა ხუან კარლოს ნავარომ ერთი კარგი სეზონის შემდეგ მშობლიურ ბარსელონაში დაბრუნება არჩია, სადაც ოთხ წელიწადში 20 მილიონს მისცემენ. არცთუ შორეულ წარსულში, 4-5 წლის წინ, ევროპულ კალათბურთში ასეთი ფულის შოვნაზე არც კი ოცნებობდნენ. კი, ბატონო, ნავარო ესპანელია და დაბრუნება იქნებ დიდწილად მშობლიური გარემოს ნოსტალგიამ გადააწყვეტინა, მაგრამ ჩილდრესის შემხედვარე არც კარგი ამერიკელი მოთამაშეების ევროპაში გადაბარგება იქნება ამის შემდეგ უცნაური.

„ნბა-ს კომისარმა დევიდ შტერნმა ნბა-ს გლობალიზაციისთვის ყველაფერი გააკეთა, ამ ლიგაში საუკეთესო უცხოელები თამაშობენ. ბოლო წლებია, შტერნის შტაბი ინტენსიურად ამუშავებს ნბა-ს ევროპაში გაფართოვების გეგმას, რამდენიმე წელიწადში შეიძლება, ამ პროექტით ევროპაში ნბა-ს რამდენიმეგუნდიანი მთელი დივიზიონი გაჩნდეს. მაშ რა გასაკვირია, რომ თავისუფალი აგენტების ამერიკულ ბაზარზე ევროპა შემოდის? ესაა გლობალიზაციის უკუპროცესი" — ამბობს ჩილდრესის პირადი აგენტი ლონ ბეიბი.

ამგვარად, ფულმა ევროპული კალათბურთიც გაანათა. შესაძლოა, მთლიანად არა, მაგრამ ზოგ ქალაქში ევროს შუქურები დოლარისაზე არანაკლებად ბრწყინავლებენ. და ვინ იცის, რომელ პეპელას მიიზიდავენ.

ჩილდრესის ამბავმა ნბა პირდაპირ კრაზანების აფუთფუთებულ ბუდედ აქცია. „დალასის" ვეტერანი ვარსკვლავი ჯეისონ კიდი ამბობს, კარგი იქნებოდა, ბოლო წლებში ევროპაში მეთამაშა და განსხვავებული კულტურის ხიბლი შემეგრძნოო. კიდის ფიქრები კარიერის დაისზე მყოფი ვარსკვლავის ფიქრებია, ის 35 წლისაა და დღეს-ხვალ დიდი სპორტიდან გასაცილებელ პრესკონფერენციას გამართავს, მაგრამ ახალგაზრდებსაც რომ აემღვრათ გონება?

„მაიამი ჰითის" ლიდერი, 2007 წლის ფინალის უძვირფასესი მოთამაშე და დრიმ თიმის წევრი დუეინ ვეიდი ამბობს, რუსული კლუბიდან დამიკავშირდნენ და იმდენი ფული შემომაძლიეს, სერიოზულად დავფიქრდიო. არადა, ვეიდი მხოლოდ 26 წლისაა და ნბა-ში მხოლოდ 5 სეზონი აქვს გატარებული. „30 მილიონი წელიწადში გადასახადების გარეშე? ეს ნამდვილად არაა ცოტა ფული — ამბობს ვეიდი — იქნებ 40-იც კი მომცენ და მაშინ ყველას გეტყვით: „ორი-სამი წლის მერე გნახავთ, ბიჭებო!"

**ირაკლი ფირაშვილი**

# ჯინობილი და კომპანია

**არგენტინელ** კალათბურთელებს პეკინის ოლიმპიადაზე ურთულესი ამოცანა აქვთ გადასაჭრელი — მათ წინა, ათენის თამაშებზე მოპოვებული ჩემპიონობა უნდა დაიცვან.

არგენტინელთა თავკაცმა სერხიო ერნანდესმა უკვე დაასახელა ის შემადგენლობა, რომელიც ამ ურთულესი მისიის შესასრულებლად იბრძოლებს.

ერნანდესის ნაკრებში ნბა-ს გუნდების ოთხი მოთამაშეა — „სან ანტონიოს" ვარსკვლავური უკანახაზელი მანუ ჯინობილი, მისი თანაგუნდელი ფაბრისიო ობერტო, „ჩიკაგოს" ფორვარდი ანდრეა ნოჩიონი და „ჰიუსტონის" ფორვარდ-ცენტრი ლუის სკოლა.

ამ ოთხეულის გარდა არგენტინელთა ღირსებას პეკინის თამაშებზე შემდეგი კალათბურთელები დაიცავენ:

უკანახაზელები — პაბლო პრიჯიონი („ტაუგრესი", ესპანეთი), ანტონიო პორტა („სპარტაკი", რუსეთი), პაოლო კუინტეროსი („სარაგოსა", ესპანეთი); ფორვარდები — კარლოს დელფინო („ხიმკი", რუსეთი), ფედერიკო კამერიკი („რეგატას კორენტესი"), ლეონარდო გუტიერესი („ათენასი") და ცენტრები — ხუან გუტიერესი („გრანადა", ესპანეთი), რომან გონსალესი („პეროლი").

აქვე გეტყვით, რომ ოლიმპიური საკალათბურთო ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე არგენტინელთა მეტოქეები ხორვატია, ავსტრალია, ირანი, ლიტვა და რუსეთი იქნებიან.

## 95-ე ტურ დე ფრანსი. 5-27 ივლისი



მარკუს ბურგჰარდტმა (მარჯვნივ) კარლოს ბარედოს გრძელი გზის ბოლოს აჯობა

# ორნი გზაში

**მთები** დასრულდა, წინ გადამწყვეტი ინდივიდუალური რბოლაა და გუშინ, როდესაც „ტურის" გზა ალპებიდან სენტ ეტიენისკენ დაეშვა, პელოტონმა თავს ამოსუნთქვის საშუალება მისცა — ვისაც გაქცევა სურდა, გაიქცა და ფავორიტებს მათი დევნით თავი არ შეუწუხებიათ. „კოლუმბიას" გერმანელმა მარკუს ბურგჰარდტმა და „ქვიკ სტეპის" ესპანელმა კარლოს ბარედომ თითქმის ასი კილომეტრი იარეს წყვილად. ამათ უკან რომან ფელუს, კრისტოფ ლე მეველისა და მიგელ ასტარლოას სამეული იყო და ძირითადი ჯგუფი კი, სადღაც 4-5 კილომეტრით უკან ზანტად მოძრაობდა.

ბურგჰარდტმა და ბარედომ კი მართლაც გასაოცრად სინქრონულად იმუშავეს, მაგრამ ბოლო კილომეტრებზე ესპანელი გააქტიურდა, რადგანაც კარგად იცოდა, საფინიშო სპრინტში გერმანელს ვერ მოერეოდა. ბარედოს აქტიურობამ შედეგი არ გამოიღო. ბურგჰალდტმა მას გაქცევის საშუალება არ მისცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლო მეტრების სპრინტში იმარჯვა და კარიერაში პირველად მოიგო უპრესტიჟულესი ველოტურის ეტაპი.

და გავიხსენოთ, რომ ბურგჰარდტი ამერიკული „კოლუმბიას" წევრია და ამ გუნდის კიდევ ერთმა მრბოლმა, მარკ კავენდიშმა კი წლევანდელ „ტურზე" ოთხი სპრინტერული ეტაპი მოიგო.

ბურგჰარდტმა და ბარედომ ფელუს, ლე მეველისა და ასტარლოას სამეულს სამწუთნახევარი მოუგო, ხოლო იმ ჯგუფმა, რომელშიც ყვითელმაისურიანი კარლოს სასტრე შედიოდა, ფინიშს, თითქმის შვიდწუთიანი ჩამორჩენით უწია.

გენერალურ კლასიფიკაციაში არაფერი შეცვლილა და დიდი ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც დღეს შეიცვლება. საერთო ჩათვლის მოწინავენი ხვალინდელი ინდივიდუალური რბოლის მოლოდინში, ჩასაფრებული მტაცებელივით არიან გატრუნულნი და ნახტომისთვის ემზადებიან.

ბოლოს კი ორიოდ სიტყვა „ტურიდან" თვითმოკვეთილი ესპანური ველოგუნდის, „სონი დიუვალის" შესახებ. შეგახსენებთ, რომ „სონი დიუვალის" ერთ-ერთი ლიდერი, წლევანდელ „ტურზე" ორი სამთო ეტაპის მომგები ახალგაზრდა იტალიელი რიკარდო რაკო დოპინგის მომხმარებელი აღმოჩნდა და ბუნებრივია, „ტურიდან" მოკვეთეს. შემდეგ გუნდმა თავად თქვა უარი რბოლის გაგრძელებაზე და რიკოს და მეორე იტალიელს, ვეტერან ლეონარდო პიეპოლის კონტრაქტები გაუწყვიტა.

მიუხედავად გუნდის ხელმძღვანელთა ასეთი რადიკალური ქმედებებისა, გუნდის გენერალური და სატიტულო სპონსორი, კომპანია „სონი დიუვალი" მაინც უკმაყოფილო დარჩა და კომპანიის თავკაცებმა გადაწყვიტეს, შეწყვიტონ ველოგუნდის დაფინანსება. მეორე სპონსორი, კომპანია „სკოტი" ჯერჯერობით აგრძელებს გუნდთან თანამშრომლობას, მაგრამ უკვე ნათელია — ესპანურ ველოგუნდს სახელის შეცვლა მოუწევს.

| მე-18 ეტაპი. ბურჟ დოსიანი — სენტ ეტიენი. 196,5კმ | |
|---|---|
| 1. მარკუს ბურგჰარდტი (გერმანია, „კოლუმბია") | 4სთ 30წთ 21წმ |
| 2. კარლოს ბარედო (ესპანეთი, „ქვიკ სტეპი") | იგივე დრო |
| 3. რომან ფელუ (საფრანგეთი, „აგრიტუბელი") | +3წთ 33წმ |
| 4. კრისტოფ ლე მეველი (საფრანგეთი, „კრედიტ აგრიკოლი") | +3.33 |
| 5. მიგელ ასტარლოა (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | +3.33 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | 79სთ 16წთ 14წმ |
| 2. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +1წთ 24წმ |
| 3. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, „გეროლშტაინერი") | +1.33 |
| 4. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო") | +1.34 |
| 5. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი") | +2.39 |

# ფედერერის ტახტი ტორონტოშიც შექანდა

**კაცები**
**მასტერსი**
**ტორონტო. კანადა. ჰარდი**
**საპრიზო 2 615 000 დოლარი**

**პირველი წრე**

**მარატ საფინი** (რუსეთი) — სემ ქუერეი (აშშ) 6:3 6:3

**მეორე წრე**

**ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) 2:6 7:5 6:4; **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — ფერნანდო გონსალესი (14, ჩილე) 6:3 3:6 6:3; **მარინ ჩილიჩი** (ხორვატია) — ტომი რობრედო (12, ესპანეთი) 6:3 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:3 7:6; **ნიკლას კიფერი** (გერმანია) — მიხაილ იუჟნი (15, რუსეთი) 7:6 7:5; **დმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — ფელიჩიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:3 7:6; **ჯეიმს ბლეიკი** (7, აშშ) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 1:6 6:1 6:2; **ენდი მიურეი** (8, ბრიტანეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:4 6:4; **სტანისლას ვავრინკა** (9, შვეიცარია) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:3 6:4; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — ფერნანდო ვერდასკო (13, ესპანეთი) 6:4 6:7 6:4; **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4 6:4; **რიშარ გასკე** (10, საფრანგეთი) — ალექსანდრ კუდრიავცევი (რუსეთი) 7:5 6:3; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — ტომაშ ბერდიხი (16, ჩეხეთი) 6:4 3:6 6:4; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ჯეს ლევაინი (აშშ) 6:4 6:2

**ქალები**
**ლოს ანჯელესი. აშშ. ჰარდი**
**საპრიზო 600 000 დოლარი**

**მეორე წრე**

**ელენა იანკოვიჩი** (1, სერბეთი) — ვანია კინგი (აშშ) 7:5 6:2; **მელინდა ცინკი** (უნგრეთი) — ოლგა სავჩუკი (უკრაინა) 6:4 2:6 6:4; **ნადია პეტროვა** (9, რუსეთი) — აკგულ ამანმურადოვა (უზბეკეთი) 6:1 3:6 6:1; **ვერა ზვონარიოვა** (5, რუსეთი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:4 7:6; **დინარა საფინა** (4, რუსეთი) — შუაი პენგი (ჩინეთი) 6:2 6:2; **ალა კუდრიავცევა** (რუსეთი) — დომინიკა ციბულკოვა (15, სლოვაკეთი) 3:6 7:5 6:4; **სამანტა სტოსური** (ავსტრალია) — რეგინა კულიკოვა (რუსეთი) 7:6 7:5; **ვიქტორია აზარენკა** (8, ბელარუსი) — იან-იუნ ჩენი (ტაივანი) 6:1 6:3; **აი სუგიამა** (იაპონია) — პატი შნიდერი (7, შვეიცარია) 6:4 7:5; **ფლავია პენეტა** (10, იტალია) — ტამირა პაშეკი (ავსტრია) 2:6 6:1 6:4; **სიბილ ბამერი** (14, ავსტრია) — სტეფანი დიუბუა (კანადა) 6:3 7:5; **ბეტანი მატეკი** (აშშ) — ნიკოლ ვაიდიშოვა (11, ჩეხეთი) 6:4 6:0; **მენგ იუანი** (ჩინეთი) — სანია მირზა (16, ინდოეთი) 6:4 6:3; **მელანი საუტი** (ბრიტანეთი) — პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი) 6:4 6:2

**ქალები**
**პორტოროზი. სლოვენია. ჰარდი**
**საპრიზო 145 000 დოლარი**

**მეორე წრე**

**ვერა დუშევინა** (8, რუსეთი) - კეტი ობრაიენი (ბრიტანეთი) 6:3 6:2; **ანაბელ მედინა-გარიგესი** (4, ესპანეთი) — იულია ვაკულენკო (ბელარუსი) 6:4 6:4; **პეტრა მარტიჩი** (ხორვატია) — კლარა ზაკოპალოვა (7, ჩეხეთი) 6:3 4:6 7:6; **კაროლინ ვოზნიაკი** (3, დანია) — კაროლინ შპრემი (ხორვატია) 6:1 6:1

**ნაუიმბლდონევს** ტყუილად არ ამბობდა ბორის ბეკერი, დღეისთვის რაფაელ ნადალი მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელია და ამის რეიტინგზე ასახვა მხოლოდ და მხოლოდ დროის საქმეაო. ჰოდა, ისეთი პირი უჩანს, რომ ეს დრო უკვე კარს მოგვადგა და ძალიან მალე, შეიძლება, ბოლო წლებში ჩამოყალიბებული საჩოგბურთო წესრიგი ყირაზე დადგეს.

გუშინ მონრეალის მასტერსზე როჯერ ფედერერმა მორიგი უსახური ჩოგნაობის შემდეგ კიდევ ერთხელ წააგო და თუ ნადალი თავისი 2005 წლის მიღწევის გამეორებასა და კანადური მასტერსის მოგებას მოახერხებს, მაშინ ის ხელის გაწვდენაზე მიუახლოვდება შვეიცარიელს. ამჯერად ჩოგბურთელებს ერთმანეთს 770 სარეიტინგო ქულა აშორებთ, რაც ესპანელის წარმატების შემთხვევაში 275-მდე ჩამოვა და უკვე მომდევნო კვირას, ცინცინატიში, შეიძლება, გადატრიალება მოხდეს.

ასე რომ, ფედერერის სამეფო ტახტი საბოლოოდ შეირყა. ძალიან მალე შესაძლოა, ბოლო მოეღოს ჩოგბურთის ისტორიაში ერთი მეჩოგნის დომინირების ყველაზე ხანგრძლივ სერიას — ალპელი ხომ აგერ უკვე 234 კვირაა (2004 წლის თებერვლიდან), რაც პირველობას ინარჩუნებს.

არადა, სიმონთან შეხვედრის დასაწყისი ფედერერს ცუდს არაფერს უქადდა. ალპელმა ძალიან წყნარად და საქმიანად დაიწყო და პირველ სეტში მასტერ-კლასი ჩაუტარა 22 წლის ფრანგს. მეორე პარტიაც ასეთივე სცენარით ვითარდებოდა, როცა შვეიცარიელი 4:1 დაწინაურდა და აქ თითქოს ყველაფერიც უნდა მორჩენილიყო. სიმონმა კი რისკიანი თამაშის გაჩალება სცადა და ავანტიურაზე წავიდა, მაგრამ ბოლო წლებში მეტოქეთა ამდავარი წვალება რამდენჯერ უნახავს „მხიარულ როჯერს" — როჯერი ასეთ დროს ერთი-ორ გიჟურ გათამაშებას მოიგებდა ხოლმე და მოწინააღმდეგეს საბოლოოდ აშოშმონებდა.

მაგრამ არა ამჯერად. წლეულს უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ სადღაც გაქრა ფედერერის სახელგანთქმული რკინის ნერვები და მყარი ფსიქოლგიური მზადყოფნა. ის ძველებურად ველარ ინარჩუნებს სიწყნარეს და აშკარად ღელავს, რაც მის ჩოგნაობაზე ძალიან ნეგატიურად ისახება. ახლაც, ამ თითქოსდა სრულიად უწყინარ სიტუაციაში ფედერერმა რატომღაც ნერვიულობა დაიწყო და ისეთი ბავშვური შეცდომები დაუშვა, როგორითაც ალბათ თინეიჯერობის დროსაც კი არ გამოირჩეოდა. მოკლედ, შვეიცარიელმა მომდევნო 7 გეიმიდან 6 წააგო და სეტი ფრანგს ჩააბარა.

სიტუაცია თითქოს გამოსწორდა მესამე და გადამწყვეტ პარტიაში, სადაც ალპელმა ისევ შეძლო უპირატესობის მოპოვება — 3:3-ზე ბრეიკი გააკეთა და დაწინაურდა. მაგრამ ეს ისევ დროებითი წარმატება აღმოჩნდა, რადგანაც როჯერმა კვლავ დაიწყო სულელური შეცდომების დაშვება და მიყოლებით სამი გეიმის წაგებით სიმონს მატჩი ძალისძალად შეაჩეჩა ხელში.

„რა თქმა უნდა, კარიერის უმნიშვნელოვანესი გამარჯვებაა. მსოფლიოს პირველ ჩოგანს რამდენჯერ შეიძლება მოუგო? ერთხელ ან ორჯერ, თუ ძალიან გაგაიმართლა სამჯერ" — სიმონი ჭკუაზე არ იყო სიხარულისგან.

მაინდამაინც დამაჯერებლად არც ნადალი გამოიყურებოდა, მაგრამ ფედერერის სრულიად უკბილო თამაშთან შედარებით ესპანელის პრობლემები აბა რა მოსატანია. თანაც პირინეელს სულ თავიდან გაუჭირდა, როცა სანამ კანადურ კაუჩუკს გაუთავისდა, ჯეს ლევაინს გაქცევის საშუალება მისცა, 4:1.



თუმც რაფამ მიღებაზე თამაში მალევე დაალაგა და ამერიკელს ნათლად დაანახვა რამხელა სხვაობაა კლასში მათ შორის.

„უიმბლდონის შემდეგ ძნელია ჰარდზე გადმორთვა. თანაც არც ვარჯიშით მომიკლავს თავი. მაგრამ ნელ-ნელა მაგარსაფარს შევეჩვევი და აუცილებლად მოვუმატებ" — ახალი არაფერი უთქვამს ნამატჩევს ნადალს, რომელმაც ჯერაც არაფერი იცოდა ფედერერის წაგების შესახებ და ამიტომაც არ ულაპარაკია რეიტინგში თავის გაპირველების შანსებზე.

ამ ორი თამაშის ფონზე სხვა შეხვედრების მნიშვნელობა გვარიანად გაუფერულდა და ამიტომაც დიდი ხნით თავს არც შეგაწყენთ. მხოლოდ მარატ საფინის საცოდაობაზე გეტყვით, რომელსაც გუშინ ორჯერ მოუწია კორტზე გასვლა — წვიმის გამო მისი პირველი წრის შეხვედრა სამშაბათიდან გადმოიტანეს და ამიტომაც რუსმა თაკარა მზის ქვეშ ჯერ სემ ქუერეისთან ითამაშა, შემდეგ კი სტანისლას ვავრინკას პირისპირ დადგა. გასაკვირი არაა, რომ მარატი სიცხემ გვარიანად დაქანცა და ამიტომაც შვეიცარიელს ღირებული ვერაფერი დაუპირისპირა.

ქალთა ტურნირებიდან კი ლოს ანჯელესში პირველ ნომრად განთესილი ელენა იანკოვიჩის გამარჯვება გამოვყოთ. სერბი უდიდესი მოტივაციით ჩოგნაობს — ტურნირის მოგების შემთხვევაში ქალთა რეიტინგს ჩაუდგება სათავეში, საიდანაც თანამემამულე ანა ივანოვიჩს გადმოაგდებს. ამიტომაც ელენა არავის დანდობას არ გეგმავს, მისი პირველი მსხვერპლი კი მასპინძელი ვანია კინგი აღმოჩნდა.

**ბახა ლომაშვილი**



# მატს სუნდინი ისევ უგუნდოდაა

**თავისუფალ** აგენტთა ბაზარი ფაქტობრივად დაცარიელდა, რის გამოც ნჰლ-ის გუნდების ჩინოსნებმა ახლა აქცენტი საკუთარ მოთამაშეებთან მორიგებაზე და მათთან ახალი კონტრაქტების გაფორმებაზე გადაიტანეს. თუმც სანამ ამაზე გადავიდოდეთ, უგუნდოდ დარჩენილი ერთი დიდი ვარსკვლავის შესახებ უნდა ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

საუბარი „ტორონტოს" მრავალწლიან ლიდერსა და კაპიტან მატს სუნდინზე გვაქვს, რომელსაც ჯერაც ვერ გაურკვევია, სად წავიდეს. შვედს ბევრი მთხოვნელი ჰყავდა და არაერთი მიმზიდველი წინადადებაც მიიღო, რამაც ეტყობა, ვეტერანი გვარიანად დააბნია და ამორჩევა გაუჭირდა.

წესით, სუნდინისთვის კარიერის ამ ეტაპზე ფული არ უნდა ყოფილიყო გადამწყვეტი — ბევრის აზრით, მისთვის უმთავრესი ისეთ გუნდში თამაში იქნებოდა, რომელშიც შვედს ნანატრი სტენლის თასისთვის რეალურად ბრძოლის საშუალება მიეცემოდა. სწორედ ამიტომ, ერთხანს სუნდინის მოქმედ ჩემპიონ „დეტროიტში" გადასვლაზე საუბრობდნენ. თანაც ამ მიჩიგანურ გუნდში შვედთა ისედაც სოლიდური კოლონიაა (უკვე 7 სკანდინავია ძირითადში), რაც მატსისთვის დამატებითი პლუსი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ბებერმა ვიკინგმა იმდენ ხანს ითრია ფეხი, რომ „წითლეფრთიანებს" მარიან ჰოსას ვარიანტი გამოუჩნდათ და სლოვაკსაც მაშინვე ხელი დასტაცეს. ამის შემდეგ „დეტროიტი" თავისთავად გამოირიცხა.

იყო „მონრეალისა" და „რეინჯერსის" ვარიანტებიც და შვედისთვის ორივე საკმაოდ მისაღები იქნებოდა, მაგრამ აქ „ვანკუვერი" გამოტყვრა, რომელმაც მატსს ფანტასტიკური, 2-წლიანი და 20 მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ დღეისთვის „ვანკუვერს" ფავორიტებში არავინ მოიხსენიებს და სუნდინისთვის ეს ფრიად დამაფიქრებელია. თუმც ეტყობა, ფულმა შვედს თვალები მაინც აუჭრელა და მან ისევ ვერ მიიღო დროული გადაწყვეტილება — შედეგად „რეინჯერსი" აღარ დაელოდა და აქცენტი სხვა შვედზე, მარკუს ნესლუნდზე გააკეთა.

ასე რომ, სუნდინი ახლა მაგარ გაურკვევლობაშია. რეალურად მხოლოდ „მონრეალისა" და „ვანკუვერის" ვარიანტებილა დარჩა — მაგრამ ზუსტად მაინც არავინ არ იცის, რა ხდება თავად მატსის თავში. ჩვენში დარჩეს და გამორიცხული არც ისაა, რომ სუნდინმა საერთოდ თამაშს თავი მიანებოს.

ახლა კი ბოლო დღეებში მომხდარ სიახლეებს მივუბრუნდეთ, რომელთაგან უმთავრესი „ბუფალოს" მიერ ძირითად კიპერ რაიან მილერთან მიღწეული შეთანხმებაა — მეკარე მომდევნო 5 წელიწადში 31,5 მილიონს ჩაიჯიბავს. შეიძლება, ეს ცოტა გაბერილი თანხაც არის, მაგრამ „ხმლებს", უბრალოდ, მეტი გამოსავალი არ ჰქონდათ. ბოლო წლებში მათ ისედაც დაკარგეს ლიდერთა მთელი წყება კრის დრურის, დანიელ ბრიარისა და ბრაიან კემპბელის სახით და გენერალურ მენეჯერ დარსი რეგერს ახლა მილერთანაც რომ ვერ მიეღწია შეთანხმებისთვის, მას გუნდის გულშემატკივრები ქალაქში აღარ გააჩერებდნენ.

როგორც იქნა, „ბოსტონი", მოურიგდა თავის ახალგაზრდა უკანახაზელ დენის ვაიდმანს — კონტრაქტი 4 წელსა და 15,5 მილიონზეა გათვლილი. სამაგიეროდ, „დათვები" გამალებით ცდილობენ ვეტერანი შემტევი გლენ მიურეის თავიდან მოცილებას და თუ ეს სხვანაირად ვერ შეძლეს, მისი კონტრაქტის გამოსყიდვისთვისაც მზად არიან.

„ანაჰაიმმა" კი ორ წლით გაუხანგრძლივა კონტრაქტი მწვრთნელ რენდი კარლაილს, რაც გასაკვირი სულაც არ გახლავთ — სხვა თუ არაფერი, შარშან სწორედ მან გააჩემპიონა „იხვები".

მომავალ სეზონში კიდევ ერთი მატჩი გაიმართება ღია ჰაერზე — შარშან პირველი ექსპერიმენტი ბუფალოში ჩაატარეს, სადაც ადგილობრივი ამერიკული ფეხბურთის გუნდის სტადიონზე ერთმანეთს „ხმლები" და „პიტსბურგი" შეხვდნენ. იმ მატჩმა კოლოსალური ინტერესი გამოიწვია და ნჰლ-მაც აღარ დააყოვნა ახალი მატჩის ორგანიზება. თან ამჯერად საქმეში მოქმედი ჩემპიონი „დეტროიტიც" იქნება ჩართული, რაც მატჩისადმი ინტერესს უფრო გაზრდის.

მოკლედ, ახალი წლის პირველივე დღეს „დეტროიტი" სტუმრად ეწვევა ჩიკაგოს, სადაც ადგილობრივი ბეისბოლის გუნდ „ქაბზის" სტადიონ „რაილი ფილდზე" „წითელფრთიანები" „შავ ქორებს" დაეჯახებიან. აქედანვე ჩანს, რომ ამ იდეამ გაამართლა — ბილეთებზე იმდენი წინასწარი შეკვეთა გაკეთდა, რომ ორგანიზატორები დამატებითი ადგილების გაკეთებაზე იწყებენ ზრუნვას.

**ბახა ლომაშვილი**



მატს სუნდინი

# ასათიანები რემატჩზე შეთანხმდნენ

ვინ არის სადღეისოდ მსოფლიოში უსწრაფესი თარჯმორბენალი? მსოფლიოს ახალი რეკორდსმენი, კუბელი დეირონ რობლესი, რომელიც 21 წლისა თარჯებზე კი არ მიხტის, არამედ მიფრინავს და ყოველ კვირა ფანტასტიკურ შედეგებს აჩვენებს, თუ ექსრეკორდსმენი ჩინელი ლიუ სიანი, რომელიც ბოლო ერთი წელია, არსად ჩანს, შინ მეზობლებსაც არ უნახავთ, ალბათ, მაღალ მთებში, შაოლინის მონასტერშია გამოკეტილი და პეკინისთვის უცხო თვალისგან სრულიად დაცული ემზადება. ამ ორიდან რომელი დაიდგამს ოლიმპიურ დაფნის გვირგვინს?

მათი შეჯიბრის ხილვის მოლოდინი ერთ-ერთ ყველაზე დაძაბულ ინტრიგას ქმნის პეკინის ოლიმპიადის დაწყებამდე (გახსნის ცერემონიალი 8 აგვისტოსაა) დღეებით ადრე.

მაგრამ ეს ორი კალია აქედანვე ერთ რამეზე შეთანხმდა: ვინც უნდა მოიგოს პეკინში, სადმე სხვაგან მალევე შედგება დამამშვიდებელი შეხვედრა, რემატჩი, როგორც კრივში ხდება და ოლიმპიადაზე დამარცხებულს, სხვაგან მიეცემა მეტოქესთან კიდევ ერთხელ შეხვედრისა და გულის გადაყოლების საშუალება.

გაირკვა რემატჩის გასამართი „რინგიც“ — შვეიცარიული ლოზანას სამძლეოსნო სტადიონი, სადაც ოლიმპიადის დასრულებიდან რამდენიმე დღეში, 2 სექტემბერს, გამართავენ წლის ბოლო შეჯიბრს რობლესი და სიანი, რათა სრულიად გამორიცხონ ერთმანეთს შორის გაუგებრობა.

სიმბოლურია, რომ შეჯიბრი ლოზანაში გამართება. 2006 წელს ლიუ სიანმა სწორედ იქ ირბინა 110 მეტრი თარჯრბენი 12,88 წამში და ეს რეკორდი წლეულს 0,01 წამით გააუმჯობესა რობლესმა, ოღონდ სხვა სტადიონზე, ჩეხურ ოსტრავაში.

მაგრამ 2 სექტემბერს, ნაოლიმპიადევს, მხოლოდ ლიუ იანი და დეირონ რობლესი როდი დაამშვენებენ ლოზანას გრან პრის. ეს საკმაოდ პრესტიჟული ტურნირია და იქ მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვეს სანია რიჩარდსმა (ქალთა 400 მ), რამდენიმე სუპერ 100-მეტროსანმა ქალმა, ბრედ უოლკერმა (კაცთა ჭოკით ხტომა) და, პრაქტიკულად, ყველა ძლიერმა სამხტომელმა კაცმა, სეზონის რეკორდსმენ ფილიპს იდოუსა და ბრაზილიელ ჟადელ გრეგორიოს ჩათვლით.

**ვანო კობიაშვილი**



ლიუ სიანი და დეირონ რობლესი ოლიმპიადის მერე ლოზანაშიც შეეჯიბრებიან ერთმანეთს

# ჩაალპეთ ციხეში!
## მერიონ ჯონსს შეწყალება არ ელის

აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს რამდენიმე დღის წინ თხოვნის წერილი მიუვიდა ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციის ახალ შეფ დაგ ლოგანისგან, რომელშიც ეს უკანასკნელი ყოფილ მორბენალ მერიონ ჯონსზე წერს. ასეთ წერილში ქვეყნის პრეზიდენტს, როგორც წესი, პატიმრის შეწყალებას სთხოვენ. მერიონ ჯონსი, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონი და ორგზის მესამეადგილოსანი, ოდესღაც პრიმა, ხომ დოპინგის ხმარებაზე ჩავარდა, თანაც გამოძიებისთვის გზა-კვალის არევისა და სიმართლის დაფარვისთვის ექვსი თვით ციხეში აღმოჩნდა, მარტიდან სექტემბრამდე ტეხასის ქალთა ერთ-ერთ კოლონიაში უნდა იჯდეს.

მაგრამ ლოგანის წერილი სულაც არ შეიცავს ერთ დროს აშშ-ის ყველაზე ცნობილი და საყვარელი ქალ-სპორტსმენის შეწყალების თხოვნას. პირიქით, ამერიკული მძლეოსნობის გამგებელი ბუშს ჯონსის მიმართ სიმკაცრის გამოჩენისკენ მოუწოდებს.

„მისტერ პრეზიდენტო, თუ თქვენ მერიონ ჯონსს შეიწყალებთ ან შეუმსუბუქებთ სასჯელს, ეს იქნება უკიდურესად არაშორსმჭვრეტელური ნაბიჯი და მისი, როგორც არაკეთილსინდისიერი სპორტსმენის, ულირსი ქცევის გამართლება. ეს ძალიან არაჯანსაღი მესიჯი იქნება დამწყები მძლეოსნებისთვის, რომლებმაც უნდა იცოდნენ, რომ დოპინგის დახმარებით წარმატების მიღწევა დანაშაულია და უნდა დაისაჯოს“ — აი, ასე მიმართავს ლოგანი ბუშს.

ამ მოხელემ მოგვიანებით კიდევ რამდენიმე მკვეთრი განცხადება გააკეთა — „ხშირად, ჩვენს ქვეყანაში დანაშაულს თვალს უხუჭავენ, თუ მას კარგად ცნობილი ადამიანი, ხშირად „ერის გმირად“ შერაცხული პიროვნება ჩაიდენს. თუ კაცს აქვს სპორტული ნიჭი, ფული ან ძალაუფლება, მაშინ უფრო ხშირ შემთხვევაში, კანონი მის წინააღმდეგ ძალიან ლმობიერი და შემწყნარებელია. ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ მერიონ ჯონსი დამნაშავეა. ის წლების განმავლობაში იყენებდა აკრძალულ საშუალებას და ასე მოიპოვა „ეროვნული გმირის“ სახელი. მაგრამ უფრო ცუდი ისაა, რომ ის სიმართლეს უმალავდა გამოძიებას და ამის გამო კანონით მისჯილი ექვსთვიანი საპატიმრო ვადა ბოლომდე უნდა მოიხადოს“.

**ვანო კობიაშვილი**




# ბერლინიდან ლონდონამდე ჰაილეეე...

ყველა დროის უძლიერესმა მარათონელმა ჰაილე გებრსელასიემ პეკინის ოლიმპიადაზე მარათონულ დისტანციაზე სირბილზე უარი განაცხადა, აქაოდა, ჩინეთის დედაქალაქის ქუჩებზე ჩაგუბებული სმოგით ფილტვებს ვერ მოვიწამლავო და, ისევ ძველნაცად 10 კილომეტრზე, სტადიონის სარბენ ბილიკზე გამოსვლა ამჯობინა. ახლა ის ეთიოპიელ 10-კილომეტროსანთა სამეულში მოხვედრას ცდილობს.

მაგრამ ოლიმპიადის შემდეგ ჰაილე აუცილებლად დაუბრუნდება მარათონს და პეკინის ზეიმის დასრულებიდან ზუსტად ერთ თვეში, 28 სექტემბერს, ბერლინის მარათონზე ირბენს, სადაც მას 2006 და 2007 წლებში მოუგია კიდეც და მსოფლიოს რეკორდიც დაუმყარებია — 42, 195 კილომეტრი 2 საათში, 4 წუთსა და 26 წამში გაურბენია.

„ბედნიერები ვართ, რომ ჰაილე გებრსელასიე კიდევ ირბენს ჩვენს მარათონზე და მისგან ყველა კვლავ საოცნებო შედეგის მოლოდინში ვართ“ — ამბობს ბერლინის გარბენის ორგანიზატორი მარკ მილდე.

ჰაილე 35 წლისა კი მოყრილა, მაგრამ ფორმას მაინც არ კარგავს. იანვარში მან დუბაის მარათონი მოიგო 2.04,53 დროში და ყველა დროის მეორე შედეგი აჩვენა თავისივე მსოფლიოს რეკორდის შემდეგ. მას სავსებით რეალურად ეჩვენება 2:04 დროში სირბილი და ამბობს, წლეულსვე ჩავეტევი 2 საათსა და 4 წუთშიო. კიდევ რამდენი ხანი ირბენს ეს დაუღლელი კაცი?

„რამდენიმე წელი — ამბობს ლეგენდარული ეთიოპი — რაკი პეკინში ვერ ხერხდება მარათონის სირბილი, ვეცდები, 2012 წელს ლონდონის ოლიმპიადაზე ავისრულო ოცნება, ოლიმპიური მარათონი იქ ვირბინო და მოვიგო. რა ბედენაა ოთხი წელი? ამ დროის სირბილში კი არა, ცალ ფეხზე დგომაში გალევა შეიძლება.“

**ვანო კობიაშვილი**

## ამხანაგური მატჩები

ოლდემი 1:1 დერბი
არბროთი 0:2 დანდი იუნ.
სენტ ჯონსტონი 1:3 ბარნლი
კრემონეზე 0:0 მილანი
ლაციო 2:4 რიმინი
ბუსანი 1:0 ფულემი
კიოლნი 3:3 სტანდარდი
ტოლუკა 1:1 ატლეტიკო (მ)
ცსკა (ს) 1:0 აშდოდი
ვანე 1:1 ბრესტი
მოზერუელი 1:1 ვულვზი
შელბურნი 1:1 ლიდსი

ნანსი 0:3 ლიონი
ო. პაირატსი 0:2 კ. ჩიპსი
გიმარაეში 1:0 მიდლსბრო
ჰიბერნიანი 0:6 ბარსელონა
ინტერი 1:0 ალ ჰილალი
ვერდერი 4:3 არისი
ჰოფენჰაიმი 2:2 ჰანზა
პანათინაიკოსი 5:1 შარლერუა
კატანია 1:0 ბოტევი
დაგენემი 1:4 ლეიტონი
ნორთჰემპტონი 0:1 ქუინზ პარკი
ჰერკულესი 1:1 ტოტენჰემი

## ნორვეგია

თასის მერვედფინალი

ტრომსიო 0:2დ.დ (0:0) ვოლერენგა

## შვედეთი

თასის მეოთხედფინალი

ვალსტა 0:4 ჰამარბი

## შვეიცარია

სუპერლიგა. II ტური

სიონი 2:1 იანგ ბოისი
ვადუცი 0:2 აარაუ

## აშშ

მეიჯორ ლიგა
გადადებული მატჩი

ვაშინგტონი 0:2 ჰიუსტონი

## ბრაზილია

სერია A. XIV ტური

კურიტიბა 1:0 იპატინგა
კრუზეირო 0:1 გოიასი
ვიტორია 2:0 ნაუტიკო
ბოტაფოგო 4:0 ატლ. მინეირო
ინტერნასიონალი 2:0 სან პაულუ
პორტუგეზა 2:2 ფლამენგო
ვასკუ და გამა 3:3 ფლუმინენსე

## ისლანდია

თასის მეოთხედფინალი

ბრეიდაბლიკი 3:2 კეფლავიკი
ფიოლნირი 1:0 ვიკინგური
რეიკიავიკი 3:2 გრინდავიკი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge